საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 7 თებერვალი, 2015 წელი.

№24 (7669)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„სისხლიანი სია“ 2004–2012

6

რაში იყო საქმე? ვის აძლევდა ხელს ამდენი გვამი. ნუთუ სპეცოპერაციის წარმატება იმაში მდგომარეობს, რაც მეტი დაღუპული იქნება, თუ პირიქით?! ამას არ ჰქვია წარმატებული სპეცოპერაცია. ეს სასაკლაოა!!! ამით საზოგადოებაში შიშს თესავდნენ, „მიშა მაგარია“ თუ „ვანო მაგარიას“ იმიჯს ამყარებდნენ. „რუხი კარდინალის“ — ადეიშვილის სამართალს უნდა ემართა ქვეყანა. ხარობდნენ მაღალნი ამა ქვეყნისანი, ხარობდნენ ზონდერები, ხარობდნენ „მკვლელები“.

რაულ ჩილაჩავა: შეიარაღებული დაპირისპირება, ომი და სისხლისღვრა უკრაინელი ერის არჩევანი არ ყოფილა



3

ზოგი პოლიტიკოსი თუ საზოგადოებრივი აქტივისტი დღესაც გამოხატავს უკმაყოფილებას პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიმართ, რომლის ინიციატივითაც მოხდა და ხდება ე.წ. „ვარიაგების“ უკრაინის მართვის სისტემებში მოწვევა. მათ მიაჩნიათ, რომ მიუხედავად საყოველთაო კორუფციისა, ოციოდე პროფესიონალი, პატიოსანი და პატრიოტი უკრაინელის მოძებნა მრავალმილიონიან ქვეყანაში ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე გამოიკვეთნენ ადამიანები, ვის მიმართაც კითხვები გაჩნდა

ამის შესახებ გარდაცვლილის ძმამ ზურაბ კიწმარიშვილმა თბილისის პროკურატურაში შესვლამდე ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ეს ადამიანები, რომლებზეც საუბრობს, აქამდე საერთოდ არ ფიგურირებდნენ გამოძიების საქმეში.

„მოვედით პროკურატურაში, რომ მივიღოთ ინფორმაცია, თურა დაადგინა გამოძიებამ ამ ადამიანებთან მიმართებაში და რა ახალ ინფორმაციას ფლობენ ამ კუთხით. ვისურვებდი, რომ პროცესი უფრო ინტენსიური გახდეს, — აღნიშნა ზურაბ კიწმარიშვილმა. ზურაბ კიწმარიშვილი გუშინ თბილისის პროკურატურაში ოჯახის ადვოკატთან ერთად მივიდა.

მსოფლიოს ე.წ ახალი წესრიგი სხვა არაფერია, თუ არა ნეოლიბერალური დიქტატურა!

5

პოლონეთმა მხარი დაგვიჭირა

პოლონეთის სეიმმა (პარლამენტის ქვედა პალატა) საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კენჭისყრაზე, საქართველოს ევროპასთან ასოციირებას 439-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი არავინ წასულა, ხოლო ერთმა თავი შეიკავა. პოლონეთი მე-13 ქვეყანაა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც საქართველო-ევროკავშირის ასოციირების შეთანხმების რატიფიკაცია განახორციელეს.

შეხვედრა ნატოს შტაბ-ბინაში

ნატოს შტაბ-ბინაში საქართველოსა და პოლონეთის თავდაცვის მინისტრებს შორის ორმხრივი შეხვედრა გაიმართა. საუბრის დასაწყისში მინდია ჯანელიძემ კოლეგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა პოლონელი დამკვირვებლების მონაწილეობა ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში.

მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესზე ისაუბრეს. ტომაშ სიემონიაკმა პაკეტის განხორციელების პროცესში აქტიური ჩართულობის მზადყოფნა გამოხატა. საუბარი ასევე შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას და საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

მინისტრებმა საქართველოსა და პოლონეთის თავდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო პერსპექტივებზეც იმსჯელეს. მინდია ჯანელიძემ პოლონელი კოლეგა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მოიწვია.

ბესო ალადაშვილი: დიდი ეკონომიკური პროექტები სპეცსამსახურების გარეშე არ კეთდება

6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიან-ჩალიანი

სტოკჰოლმში შვედეთ-საქართველოს სავაჭრო პალატა დაარსდა

საგბარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შვედეთი საქართველოში ენერგეტიკული პროექტების განხორციელებით არის დაინტერესებული.

საქართველოში მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში შვედური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, სავაჭრო პალატამ უკვე დაიწყო კონტაქტების დამყარება შვედეთის რეგიონულ სავაჭრო პალატებთან და იმ შვედურ კომპანიებთან, რომლებიც ენერგეტიკის სექტორში მუშაობენ.

შვედეთ-საქართველოს სავაჭრო პალატამ პირველი შეხვედრა შვედურ სააგენტოებთან და კომპანიებთან შვედეთში საქართველოს საელჩოს შენობაში გამართა. შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ბენგტ კარლსტრომმა, ცენტრალური შვედეთის სავაჭრო პალატის მენეჯერმა ანა ჰოლმსტრომმა და შვედური კომპანიის Green Energy პრეზიდენტმა ურბან იოელსონმა, საქართველოს ელჩმა კონსტანტინე ქავთარაძემ უმასპინძლა.

საქართველოს ელჩმა პალატის დაარსებას შვედეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა და აღნიშნა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ბაზრით სულ უფრო მეტი შვედური კომპანია ინტერესდება.

კონსტანტინე ქავთარაძის განცხადებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ბაზარზე შესული შვედური კომპანიების რიცხვი.

ბოლო მონაცემებით, თავისი წარმომადგენლობა საქართველოში 14-მა შვედურმა კომპანიამ გახსნა.

შვედეთ-საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდენტი შვედი ბიზნესმენი ბენგტ კარლსტრომია. სიმბოლურია, მისი ბაბუა - გრიგორი გაჩეჩილაძე 1918 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ სკანდინავიაში მივლენილი ეკონომიკური მისიის წევრი იყო.

პურის ფასის ზრდაზე საუბარი ნააღრევია

ასე უპასუხა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვას იმის თაობაზე, კომერციული მომხმარებლებისთვის გაზის ტარიფის ზრდა იმოქმედებს თუ არა პურის ფასზე და გაზრდის თუ არა მას.

„ამ თემასთან დაკავშირებით ინტენსიური კომუნიკაცია მიმდინარეობს. შესაბამისად, მოდით, დაველოდოთ მოვლენებს. ჯერჯერობით ბალანსი შენარჩუნებულია, ამიტომ ამ ეტაპზე თუ რაღაც განსაკუთრებული ცვლილებები არ მოხდა, მე ვფიქრობ, მოსალოდნელი არ არის. ასევე, იმედია, რომ გაზის გაძვირება არ იქნება“, – განაცხადა დანელიამ.

ჩინეთში „ხვანჭქარაზე“ დავა წარმატებით დასრულდა

როგორც ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრიდან იტყობინებიან, ჩინეთის სასაქონლო ნიშნების უწყებამ „ხვანჭკარის“ რეგისტრაცია გაუუქმა იმ ფიზიკურ პირს, რომელსაც არაკეთილსინდისიერად ჰქონდა დარეგისტრირებული ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება. ასევე არაკეთილსინდისიერად დარეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებებზე „წინანდალი“, „ქინძმარაული“ და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე „ჭაჭა“, დავა საქპატენტს და ორ ჩინურ კომპანიას შორის, 2014 წლის თებერვლიდან მიმდინარეობს.“

„საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ იმედს გამოთქვამს, რომ სარჩელი სხვა სადავო ნიშნებზეც დაკმაყოფილდება.

მეთევზეების აქცია ფოთში

ფოთში, მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ, მეთევზეების აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები კანონის გადახედვას მოითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ თევზის რეწვის დროს თურქ მეთევზეებთან არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. ამ მოთხოვნებით აქციის მონაწილეებმა ადგილობრივ ხელისუფლებას გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროებთან შუამდგომლობა სთხოვეს.

მეთევზეებს ფოთის მერი ირაკლი კაკულია შეხვდა და დახმარებას დაჰპირდა. მთავრობის გადაწყვეტილებას ფოთში 40-მდე სეინერის მეპატრონე ელოდება.

საძოვრების ჩამორთმევას აპროტესტებენ

ზესტაფონში, სოფელ სვირის მცხოვრებლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მოსახლეობა საძოვრების ჩამორთმევის ფაქტს აპროტესტებს.

18 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მოსახლეობა საძოვრებისთვის იყენებდა, ეკონომიკის სამინისტრომ, შპს „საპოვნელას“ გადასცა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა, საძოვრების გარეშე დარჩა.

„მოსახლეობის ერთადერთი შემოსავალი მესაქონლეობაა. შპს „ საპოვნელა“ კი ამ ტერიტორიაზე მიწის დამუშავებას აპირებს. ჩვენ ლუკმაპურის გარეშე გვტოვებენ, რადგან საძოვრები თუ არ გვექნება, საქონელი უნდა გავყიდოთ“, – აცხადებენ აქციის მონაწილეები.

სოფლის მოსახლეობა დახმარებას ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვს.

◎ წარდგინება

სოფელი თუ განვითარდა...

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ საქართველოს 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის წარდგინება გამართა.

სასტუმრო „რედისონში“ გამართულ ღონისძიებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ოთარ დანელიამ წარდგინებაზე განაცხადა, საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა იქნება. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი“, – განაცხადა დანელიამ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სტრატეგიის დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს, ძირითადი საშუალოვადიანი სტრატეგიული მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

2. ინსტიტუციური განვითარება;
3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება;
4. რეგიონული და დარგობრივი განვითარება – დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

„სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას“, – აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

უწყების ინფორმაციით, სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას (დაახლოების შეთანხმებული ვადების შესაბამისად), რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებთან მაქსიმალურ მიახლოებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაკუთრებულად აფასებს, საქართველოს ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, დონორი ორგანიზაციების, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO), ევროპის სამეზობლო პროგრამის – სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარებისათვის (ENPARD) ძალისხმევას, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში“, – ნათქვამია განცხადებაში.



◎ სხვა გაზეთიდან

„ЭХО“: რუსული მარცხი „ქართულ ველზე“?

სტატიაში, რომლის ავტორია ცნობილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი **ნურანი (თოფიგახანუმ კასიმოვა)**, მიმოხილულია საქართველოში ბოლო პერიოდში მომხდარი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოვლენები, განსაკუთრებით კი აქცენტირებულია ორი ძირითადი საკითხი:

ა) ექს-პრემიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის ხელახალი გამოძიება

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, „პროკურატურამ ბრალი წაუყენა საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს მამუკა გვარამიას და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყოფილ უფროსს როსტომ ლაზარიას მასზედ, რომ მათ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის გუბერნატორის ექს-მოადგილის რაულ უსუპოვის გარდაცვალების (დაღუპვის) საქმის მასალები გააყალბეს. პროკურატურა მოითხოვდა, რომ მათ წინასწარი პატიმრობა შეფარდებოდათ, მაგრამ სასამართლომ ისინი გირაოს შეტანის შემდეგ გაათავისუფლა“. სტატიაში მოცემულია ამ სისხლის სამართლის საქმის ისტორია, რომელიც ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების დღიდან აღიძრა (2005 წლის 3 თებერვალს), აღნიშნულია, რომ თავიდანვე იყო ეჭვები, რომ ისინი ოფიციალურად გაცხადებული მიზეზებით კი არ გარდაცვლილან (გაზით მოწამვლით), არამედ ეს იყო წინასწარ განზრახული მკვლელობა. აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგიკულ ფაქტს წლების შემდეგ აქტუალურობა მაინც არ დაუკარგავს და ხშირად პოლიტიკური ბატალიების ობიექტი ხდებოდა – მიხეილ სააკაშვილის მმართველ პარტია ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და ოპოზიციას შორის. არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალი მთავრობა მოსახლეობას სამართლიანობის აღდგენასა და ძველი გახმაურებული საქმეების ხელახალ გამოძიებას დაჰპირდა, მაგრამ პროცესმა დამუხრუჭება დაიწყო... ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება „ცეცხლზე ნავთს ასხამს“ გახმაურებული პოლიტიკური პროცესების ფონზე. „ქართულ ოცნებაში“ ძლიერდება უთანხმოება და ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სერიოზულად ფიქრობს რევანშის აღებას...

ბ) აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემები

პუბლიკაციაში ასევე ხაზგასმულია, რომ ხელისუფლებაში ყოფნის მესამე წელს „ქართულმა ოცნებამ“ ასევე ვერ მოახერხა ყველაზე მთავარი დაპირების შესრულება: რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება – არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სფეროში. საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვთან შერიგებაზე, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემის მოუგვარებლად, გასაგები მიზეზების გამო, უარი განაცხადა. ამასობაში კი კრემლი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მას არ სურს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება და ყველანაირად ცდილობს „დამოუკიდებელი რესპუბლიკების“ მხარდაჭერას. ამის ნათელი დადასტურებაა ე.წ. „მოკავშირეობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების“ გაფორმება აფხაზეთთან (რომელიც უკვე რატიფიცირებულია და პრეზიდენტისაგან ხელმოწერილი), მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა იგეგმება სამხრეთ ოსეთთანაც. ორივე დოკუმენტი თბილისმა „რუსულ ექსპანსია-ანექსიად“ შეაფასა.

სადაა გამოსავალი და რამდენად შესაძლებელია ამ მტკივნეული პრობლემების მოგვარება? ამ კითხვაზე პასუხისათვის ავტორი იმოწმებს ნატოს სპეცწარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის სიტყვებს საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემული ინტერვიუდან: **„მინდა, გულწრფელად გითხრათ, რომ ამჟამად ალიანსს არავითარი ბერკეტი არა აქვს, რომ ხელი შეუშალოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ დოკუმენტებს არ ვცნობთ, მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ვგმობთ სეპარატიზმს და რუსეთის უხეშ ჩარევებს... მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმის ძალა, რომ რუსეთს უარი ვათქმევინოთ განზრახვებზე“**. ცხადია, ასეთ ფონზე ზედმეტია იმის იმედი, რომ მომავალში მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობა დინამიკურად, დადებითი ტენდენციებით განვითარდება. დასკვნა: ამ მოვლენების გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებას წინ კიდევ დიდი პოლიტიკურ-დიპლომატიური პრობლემების გადაჭრა ელოდება. ამასთან, აფხაზეთთან ხელშეკრულების რატიფიცირება ხელს არ შეუწყობს კრემლის პოზიციების განმტკიცებას სამხრეთ კავკასიაში, პირიქით მოხდება – რუსეთი „ქართულ ველზე“ ვერ გაიმარჯვებს.

მოამზადა
სიმონ კილაძემ



უკრაინის კრიზისი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. დღეს დონბასში გადის გეოპოლიტიკური რღვევის ის ხაზი, სადაც დასავლურ დემოკრატიულ ცივილიზაციას რუსული იმპერიული ამბიციები ემუქრება. „ცხელი“ ომის პარალელურად ჩვენ ყოველდღიური საინფორმაციო ომის ბატალიების მოწმენი ვხდებით – მასმედია უხვად ავრცელებს უამრავ წინააღმდეგობრივ ინფორმაციას, რაში გარკვევაც ერთობ რთულია... საქართველო, ნებსით თუ უნებლიეთ, უკრაინის კრიზისში მეტ-ნაკლებად ჩართული აღმოჩნდა: ერთი მხრივ, ქართველები უკრაინის ახალ მთავრობაში იწყებენ სამსახურს, მეორე მხრივ – ქართველები ფრონტის ორივე მხარეს იბრძვიან. ქართველ საზოგადოებაში ეს ფაქტები არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს: რამდენად სწორია მათი მოქმედება? სადაა სიმართლე და სადაა სიცრუე? „რეპორტიორს“ ესაუბრება კიევში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მეცნიერი, პოეტი და მთარგმნელი, დიპლომატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რაულ ჩილაჩავა:

რაულ ჩილაჩავა: შეიარაღებული დაპირისპირება, ომი და სისხლისღვრა უკრაინელი ერის არჩევანი არ ყოფილა

– ბატონო რაულ, თქვენი აზრით, ელოდა თუ არა უკრაინული საზოგადოება მოვლენების ასეთ განვითარებას 2014 წლის „ევრომაიდნის“ შემდეგ? ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, კატასტროფული ეკონომიკური ზარალი, ტერიტორიული დანაკარგები... ღირდა კი ასეთ ფასად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება? განა არ შეიძლებოდა, მოვლენათა განვითარების ზომიერ ეტაპზე, გონიერების მოხმობა? ალბათ, უკრაინელებს უნდა გაეთვალისწინებინათ საქართველოს მწარე გამოცდილება...

– გარკვეული სირთულეების მოლოდინი, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ იმ სცენარის სრულად წარმოდგენა, რომელიც ჯერ „მაიდანს“ და მერე პოსტმაიდანს მოჰყვა, თვით ამ სცენარის ავტორთა გარდა, არავის შეეძლო.

ამჟამად ცნობილია, რომ რუსეთი საქართველოსთან ომს 2006 წლიდან გეგმავდა, უკრაინასთან ომი კი მას ჯერ კიდევ ე.წ. ნარინჯოვან რევოლუციამდე ჰქონია ჩაფიქრებული. როგორც ჩანს, კრემლისთვის კიევთან ომი იყო ვარიანტი „ბ“, რადგან ვარიანტი „ა“ უკრაინის უსისხლოდ ხელში ჩაგდებას გულისხმობდა.

ვიქტორ იანუკოვიჩი და მისი ყბადაღებული რეგიონების პარტია წარმატებით უთხრიდნენ ძირს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, ანგრევდნენ არმიას, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, სახალხო მეურნეობას, ეკონომიკას, მართვის სისტემას. სახელმწიფო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში მოქმედებდნენ რუსული სპეცსამსახურების წინასწარ ჩანერგილი აგენტები, ხოლო თავდაცვისა და უშიშროების უწყებებს ღიად ედგნენ სათავეში რუსეთის მოქალაქეები. ბოლო ათი წლის მანძილზე ქვეყანაში დაუფარავად ხდებოდა დამოუკიდებლობის დისკრედიტაცია, ებრძოდნენ ეროვნულ თვითშეგნებას, სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში აყალბებდნენ ისტორიულ წარსულს, ჩირქს სცხებდნენ სუვერენიტეტისთვის მებრძოლ პატრიოტებს.

ყოველივე ეს ერთ რამეს ისახავდა მიზნად: დაეთრგუნათ უკრაინა ეკონომიკურად და ზნეობრივად, ჩაენერგათ მოსახლეობისთვის უსასოობის განცდა და მის თვალში ერთადერთ მხსნელად წარმოეჩინათ რუსეთი თავისი აკვიატებული ევრაზიული კავშირით. თუ ლეონიდ კუჩმამ თავისი საგარეო საქმიანობა ე.წ. მრავალვექტორიანობაზე ააგო და თავის ურთიერთობებს დასავლეთსა და რუსეთს შორის ერთგვარად აბალანსებდა, მისმა მემკვიდრე ვიქტორ იუშჩენკომ რუსეთს პირდაპირ შეაქცია ზურგი და დასავლური ორიენტაცია ქვეყნის სრულ პრიორიტეტად გამოაცხადა (რამაც უკრაინის ანექსიის რუსული გეგმა შვა), იანუკოვიჩმა კი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციას ემსახურებოდნენ.

ამავე დროს იგი ერთგვარად ცდილობდა კუჩმას მრავალვექტორული დოქტრინის რეანიმაციას. მართალია, მან შეცვალა კანონმდებლობა და უკრაინა ბლოკგარეშე ქვეყნად გამოაცხადა, მაგრამ ოფიციალურად არასოდეს უთქვამს უარი ევროინტეგრაციაზე. პირიქით, თავისი პრეზიდენტობის მანძილზე, ვიდრე 2013 წლის ნოემბერი დადგებოდა, იგი თანამემამულეებს ენერგიულად უნერგავდა აზრს ევროკავშირთან ასოციაციის, ხოლო პერსპექტივაში – წევრობის უალტერნატივობაზე. ის კი არა და, ერთ დროს გამოცდილმა პოლიტიკოსებმაც კი ირწმუნეს მისი გულწრფელი სურვილი – გაეყვანა უკრაინა ევროპულ ორბიტაზე, ექცია იგი ცივილიზებულ ერთა ოჯახის წევრად.

ამიტომაც გაისმა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით ევროპასთან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უარი. საზოგადოებამ, უპირველესად კი, სტუდენტობამ და მთლიანად ახალგაზრდობამ ეს აღიქვა ეროვნული იდეალების ღალატად და საკუთარი წრფელი პროტესტი ამ ნაბიჯის წინააღმდეგ მშვიდობიანი, ცივილიზებული მიტინგით გამოხატა. ხელისუფლების მხრიდან სრულმა იგნორირებამ საპროტესტო მოძრაობის ესკალაცია გამოიწვია, რასაც მოჰყვა ცნობილი მოვლენები – უიარაღო სტუდენტების დარბევა, მკვლელობები, ტერორი. აქ უკვე ძნელი იყო როგორც გონიერების მოხმობა, ასევე საქართველოს გამოცდილების გათვალისწინება. მით უმეტეს, რომ „მაიდანს“ ქართულ სცენართან საერთო თითქმის არაფერი ჰქონდა. უკრაინის დემოკრატიული ძალები არ გეგმავდნენ რუსეთთან ომს, მათ სურდათ საკუთარი და საშინაო საქმეების ცივილიზებურად მოგვარება, მაგრამ ცალკერძ იანუკოვიჩის სიჯიუტემ და ცალკერძ პუტინის უხეშმა ძალისმიერმა ჩარევამ ყველაფერი უკუღმა შეატრიალა და ის სისხლიანი კალო, რომელიც ჯერ თავისუფლების მოედანზე, ხოლო შემდგომ დონბასში დატრიალდა (და ახლაც ტრიალებს!), გარდაუვალი გახადა.

შეიარაღებული დაპირისპირება, ომი და სისხლისღვრა უკრაინელი ერის არჩევანი არ ყოფილა. ისევე, როგორც ეს არ ყოფილა ქართველი ერის არჩევანი.

– ამას წინათ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა ცნობილი მეცენატი-მილიარდერის ჯორჯ სოროსისა და ფრანგი ფილოსოფოსის ბერნარ-ანრი ლევის სტატია „დაეხმარეთ ახალ უკრაინას“. თქვენი აზრით, როგორია პოროშენკოს „ახალი უკრაინა“ და რითი სჯობია ის ძველს –კრავჩუკის, კუჩმას, იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის დროინდელს, როცა ქვეყანაში შედარებით მშვიდობა სუფევდა?

– ჯერჯერობით საერთოდ ძნელია „პოროშენკოს უკრაინაზე“ საუბარი, რადგან აქამდე საქმე გვაქვს იმ უკრაინის ნანგრევებთან, რომელიც თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრეზიდენტების დროს ჩამოყალიბდა და მეტწილად განვითარდა. პოროშენკომ, როგორც პრეზიდენტმა, უკრაინა ჩაიბარა, როცა ყირიმი რუსეთის მიერ უკვე უომრად ანექსირებული იყო, ხოლო დონბასის ტერიტორიაზე (ანუ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში) ნახევრად ტერორისტული, ნახევრად კი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ამჟამად უკრაინის ათ მილიონამდე ყოფილი და ახლანდელი მოქალაქე იმყოფება ან გაქცეულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან, მოშლილია ქვეყნის დიდი ინდუსტრიული ცენტრები, ქვეყანას დაკარგული აქვს ეკონომიკის ოცი პროცენტი. აი, ასეთია დღეს „ახალი უკრაინა“, რომელსაც დახმარება მართლა სჭირდება. ოღონდ ამაში მე ვერ ვხედავ ვერც პოროშენკოს და ვერც ე.წ. „მაიდნური ხელისუფლების“ ბრალს, რადგან, გავიმეორებ: ისინი არ დაპირისპირებიან არც საკუთარ ხალხს და არც მეზობელ რუსეთს.

– ბატონო რაულ, თქვენ დიპლომატი ბრძანდებით, გაქვთ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი... ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ პარადოქსული სიტუაციაა: უკრაინა ოფიციალურად აცხადებს, რომ რუსეთი აგრესორია, მაგრამ, იმავდროულად, დიპლომატიური ურთიერთობა გრძელდება, საელჩოები და ელჩები კიევში და მოსკოვში მუშაობას აგრძელებენ. როგორ მიგაჩნიათ, უკრაინამ უნდა გაწყვიტოს თუ არა რუსეთთან დიპურთიერთობა? და თუ არ წყვეტს, რატომ? საქართველოს, მაგალითად, რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ ურთიერთობა დღემდე გაწყვეტილი აქვს...

– ამ თვალსაზრისით ეს მართლაც უცნაური ომია, რადგან უკრაინას ამ ერთი წლის მანძილზე რუსეთთან არამარტო დიპლომატიური, არამედ არც ეკონომიკური და არც სხვანაირი კავშირები არ გაუწყვეტია. თუ 2008 წლისთვის საქართველო ჩრდილოელი მეზობლისგან ეკონომიკურად თითქმის დამოუკიდებელი იყო, უკრაინაზე ამას ვერ ვიტყვით, რადგან იგი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მიბმულია რუსულ სისტემებთან და დამოუკიდებლობის წლებში, სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამიტომ, თუ უკრაინა დღეს მთლიანად გაწყვეტს რუსეთთან დიპლომატიურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობებს, იგი სრული კრახის წინაშე აღმოჩნდება. გასათვალისწინებელია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც: თუ რუსეთი თავისი 58-ე არმიით პირდაპირ შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და ტანკებით მთელი საქართველო მოიჯირითა, რუსეთს უკრაინისთვის ოფიციალურად ომი არ გამოუცხადებია. იგი დღესაც აცხადებს, რომ მისი ჯარისკაცები არ იბრძვიან უკრაინის ტერიტორიაზე, თუმცა, სინამდვილეში ყველამ იცის, რომ ეს ასე არაა. დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა და ელჩის გამოწვევა პრაქტიკულად ომის გამოცხადებას ნიშნავს, რაც საბოლოოდ გაუხსნის ხელ-ფეხს აგრესორს. პირდაპირ ომში კი უკრაინაც სულ მალე გაიზიარებს საქართველოს ბედს. ამიტომაც ჰქვია დონბასში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს ანტიტერორისტული ოპერაცია, თუმცა, ასევე ყველასთვის ცხადია, რომ რეალურად ეს არის, მართალია, ლოკალური, მაგრამ მაინც რუსეთ-უკრაინის ომი.

– როგორ ფიქრობთ, სწორად მოქმედებს თუ არა უკრაინის მასმედია საქართველოს ყოფილი „ნაციონალური“ ხელისუფლების „მიღწევების“ პოპულარიზების საკითხში? საქართველოში მიაჩნიათ, რომ უკრაინული მასმედია ტენდენციურად, ცალმხრივად აშუქებს „ნაციონალების“ ცხრაწლიანი საქმიანობის შედეგს და თვალს შეგნებულად ხუჭავს იმ ნეგატიურ მოვლენებზე, რაც მათი მმართველობის პერიოდში ხდებოდა...

– როგორც ქართულ პრესაში, ასევე სოციალურ ქსელებში ხშირად ვხედავ და ვეცნობი მასალებს, სადაც დაახლოებით ასეთივე კითხვებს სვამენ. უნდა გითხრათ, რომ უკრაინული მასმედია თავის საქმეს აკეთებს, იგი ისე გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს, როგორც თვითონ ხედავს და ესმის. თუ იგი აუკუღმართებს ფაქტებს, არასწორად გადმოსცემს და აფასებს მოვლენებს, საქართველოს აქვს (ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს) საიმისო ბერკეტები, რომ შეუსწოროს მას, მიაწოდოს საკუთარი თვალსაზრისის გამომხატველი არგუმენტები. ბოლოს და ბოლოს, არსებობს საელჩო, რომლის მეოხებითაც ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია საკუთარი უკმაყოფილება გაუზიაროს უკრაინელ კოლეგებს. მე პირადად ამ კუთხით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საკმაოდ დელიკატური განცხადების გარდა, არაფერი წამიკითხავს. საქართველოში ბევრი უკრაინელი ჟურნალისტი და სახელმწიფო მოხელეა ნამყოფი, მათ საკუთარი თვალით უნახავთ ქართული პოლიციის, საგზაო პატრულისა და იუსტიციის სახლების მუშაობა, უნახავთ განახლებული ბათუმი, სიღნაღი, გუდაური, მესტია და ეს მოსწონთ, სურთ, უკრაინაშიც დანერგონ ის კარგი, რაც დღეს საქართველოს აქვს. ობიექტურობის გულისთვის გეტყვით, რომ საქართველოდან მოწვეულ კადრებს აქ განიხილავენ არა მაინც და მაინც „ნაცმოძრაობის“ წევრებად, არამედ პროფესიონალებად, რომლებმაც თავიანთ სფეროებში წარმატებებს მიაღწიეს.

იხ. 4 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების საკითხებზე მორიგი შეხვედრა გაიმართა

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან იტყობინებიან.

„აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების საკითხების განხილვა ურთიერთგაგებისა და სრული ნდობის პირობებში წარიმართა“, – აღნიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილემ გოგი ფაცაციამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ქართულ მხარეს. მხარეები მსგავსი შეხვედრების რეგულარულად ჩატარებაზე შეთანხმდნენ. გადაწყდა გაზაფხულზე რამდენიმე სამარხის ექსჰუმაცია აჩადარაში, გუმისთაში, ხონსა და ვაზიანში.

◎ ჩვენი თანამემამულე – მოვლენათა ცენტრში

რაულ ჩილაჩავა: შეიარაღებული დაპირისპირება, ომი და სისხლისღვრა უკრაინელი ერის არჩევანი არ ყოფილა

(მესამე გვერდიდან)

– ბატონო რაულ, გვაინტერესებს თქვენი პოზიცია უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტში ქართველი ვოლონტერების მონაწილეობის შესახებ. ისინი ორივე მხარეს არიან – სამთავრობო ძალებშიც და სეპარატისტთა რიგებშიც...

– ვოლონტერობა ასეთ კონფლიქტებში ჩვეულებრივი საქმეა. ჩვენ გვახსოვს (თუ არ გვახსოვს, უნდა გვახსოვდეს) უკრაინელთა მხარდაჭერა, როცა ქართველები აფხაზეთს ვიცავდით. ახლა ქართველების ჯერია. რამდენადაც ვიცი, დონბასში მოქმედებს ასკაციანი ქართული ლეგიონი, რომელიც უკრაინის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაშია და იბრძვის მოძმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის. მე პირადად მივესალმები ასეთი ადამიანების თავგანწირვას, რადგან დე ფაქტო საომარ მდგომარეობაში მყოფ ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, უკრაინაც აუცილებლად გამოადგება. მით უმეტეს, რომ ქართველები დონბასში ებრძვიან ჩვენს საერთო მტერს, რომელმაც ხალხიც გაგვიწყვიტა, მიწებიც წაგვართვა და საერთოდაც დაგვამცირა. რაც შეეხება რუსების მხარეზე მებრძოლ ქართველებს, ისინი უფრო მედიურ პერსონაჟებს წარმოადგენენ, რომლებიც კრემლს სატელევიზიო სურათებისთვის სჭირდება. ასეთებს ჩვენ „ტვინგაყინულებს“, რუსები კი „ოტმოროზკებს“ ეძახიან. რაც მთავარია, ჩემი მონაცემებით, ისინი საქართველოს მოქალაქეებიც არ არიან, ამიტომ იურიდიულად ჩვენი ქვეყანა მათზე პასუხს არ აგებს.

– უკრაინის სახელისუფლებო სტრუქტურებში ბოლო დროს რამდენიმე ყოფილი ქართველი ჩინოვნიკი დაინიშნა თანამდებობებზე, რომლებიც ადრე „ნაციონალური“ ხელისუფლების კადრებს წარმოადგენდნენ. როგორი მოლოდინი გაქვთ, გაართმევენ ქართველები თავს უკრაინის პრობლემებს? რას ფიქრობენ თვითონ უკრაინელები?

– სხვათა შორის, ჯერჯერობით, არც თუ იმდენი ქართველია დანიშნული უკრაინაში, რამდენი აჟიოტაჟიც ამ დანიშვნების გარშემო საქართველოშია ატეხილი. თუ რა მოტივებით არიან ქართველები მოწვეული უკრაინაში, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინა ტერიტორიითა და მოსახლეობით საქართველოზე ათჯერ დიდი ქვეყანაა, ძნელი სათქმელია, როგორ გაართმევენ თავს ჩვენები ამხელა მასშტაბებს. ეკა ზღულაძე, მაგალითად, შეუდგა ავტოინსპექციის რეფორმას და უკვე მიიღო განთავისუფლებულთა პირველი საპროტესტო მიტინგი. საკითხავია, სად წავა და ვისთან დადგება ამდენი მოხსნილი და გაბრაზებული მილიციონერი ქვეყანაში, რომელიც უსახელო ომს აწარმოებს! უკრაინელები ჯერ ოპტიმისტურად არიან განწყობილი, რადგან საკუთარი მექრთამე მოხელეების არ სჯერათ. თუ ქართველთა მცდელობამაც ამაოდ ჩაიარა, არ გამოვრიცხავ, პერსონალიები დაივიწყონ და გულისწყრომა საქართველოზე გადმოიტანენ. თუმცა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოს თავისი კადრები არავისთვის დაუძალებია. ზოგი პოლიტიკოსი თუ საზოგადოებრივი აქტივისტი დღესაც გამოხატავს უკმაყოფილებას პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიმართ, რომლის ინიციატივითაც მოხდა და ხდება ე.წ. „ვარიაგების“ უკრაინის მართვის სისტემებში მოწვევა. მათ მიაჩნიათ, რომ მიუხედავად საყოველთაო კორუფციისა, ოციოდე პროფესიონალი, პატიოსანი და პატრიოტი უკრაინელის მოძებნა მრავალმილიონიან ქვეყანაში ძნელი არ უნდა ყოფილიყო. სიმართლე გითხრათ, მეც ასე ვფიქრობ.

– კვლავ თქვენი, როგორც დიპლომატის თვალსაზრისი გვაინტერესებს: ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს და ექსპერტს მიაჩნია, რომ 2012 წლის შემდეგ, როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, კიევში არსებული საქართველოს საელჩო ორი სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარების საკითხში არასაკმარისად მუშაობდა. ეთანხმებით ამ აზრს? როგორ გესახებათ უკრაინა-საქართველოს სამომავლო ურთიერთობა არსებული რეალიების გათვალისწინებით?

– პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით, მე ამ კითხვაზე კონკრეტულ და ამომწურავ პასუხს ვერ გაგცემთ, თუმცა, ისედაც ცხადია, რომ შექმნილ სიტუაციაში ჩვენს დიპწარმომადგენლობას მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას და, ეს მთავარია: საელჩო მოქმედებს თავისი საგარეო უწყების დირექტივათა შესაბამისად. თუ თბილისიდან ასეთი დირექტივები არ ყოფილა, საელჩო პირადი ინიციატივით ვერ იმოქმედებდა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ხელისუფლების მეტად თავდაჭერილ პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომთან (ჩვენ მაინც დავარქვათ მოვლენას თავისი სახელი!) დაკავშირებით, ჩემი ვარაუდით, უკრაინაში საქართველოს საელჩოსთვის ოფიციალურ თბილისს აქტიური მოქმედებები არ დაუვალებია. მე კარგად ვიცნობ ჩვენს ელჩს, ბატონ მიხეილ უკლებას, როგორც გამოცდილ დიპლომატს და მგონია, რომ იგი დირექტივების სრული დაცვით მოქმედებდა. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა დარჩება საქართველოს მეგობარ ქვეყნად და სტრატეგიულ მოკავშირედ, რაც ორივე მხარის ინტერესებში შედის.

> **ზოგი პოლიტიკოსი თუ საზოგადოებრივი აქტივისტი დღესაც გამოხატავს უკმაყოფილებას პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიმართ, რომლის ინიციატივითაც მოხდა და ხდება ე.წ. „ვარიაგების“ უკრაინის მართვის სისტემებში მოწვევა. მათ მიაჩნიათ, რომ მიუხედავად საყოველთაო კორუფციისა, ოციოდე პროფესიონალი, პატიოსანი და პატრიოტი უკრაინელის მოძებნა მრავალმილიონიან ქვეყანაში ძნელი არ უნდა ყოფილიყო.**

– ბატონო რაულ, თქვენ ნაყოფიერად მოღვაწეობთ კიევში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში, ეწევით მთარგმნელობით მუშაობას... როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?

– სიმართლე გითხრათ, გეგმები გაცილებით მეტია, ვიდრე მათი დროულად რეალიზების შანსი. გამოსაცემად გამზადებული მაქვს საკუთარი ლექსების ოთხი პოეტური კრებული, რომლებიც ამ ბოლო ოთხ წელიწადში დავწერე. ასევე მზადა მაქვს ლატვიური პოეზიის საავტორო ანთოლოგია, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ ელჩობისას დავიწყე. ამჟამად, როცა ლატვია, ჩვენი მეგობარი ქვეყანა, ევროკავშირში თავმჯდომარეობს, უპრიანი იქნებოდა მისი გამოცემა და თბილისსა და რიგაში წარდგინება. თუ რომელიმე გამომცემელი დაინტერესდება – როგორც იტყვიან, აგერ ვარ. წელს აკაკის დაბადების 175 წლისთავი სრულდება და მინდა, ამ თარიღისთვის მისი ლექსთა კრებული გამოვცე უკრაინულად. სულ ახლახან თბილისში კულტურის სამინისტროს ეგიდით გამოიცა ჩემს მიერ თარგმნილი და შედგენილი სქელტანიანი კრებული „100 უკრაინელი პოეტი“ და პუბლიცისტური წიგნი „მაიდანზე, ეკლესიის ახლოს“. ეს უკანასკნელი სწორედ უკრაინის მოვლენებს ეხება. სულ მალე, როცა თბილისში ჩამოვალ, ამ წიგნების წარდგინება მინდა მოვაწყო.

– დიდი მადლობა, ბატონო რაულ, საინტერესო საუბრისათვის. გელოდებით თბილისში!

სიმონ კილაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი წესდების 47-ე მუხლის შესაბამისად, აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატებად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საქართველოში ავტორიზებული და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა.

კანდიდატის გვარი, სახელი	სპეციალობა, ვაკანსია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
	მათემატიკა - 1 ვაკანსია
1. ვლადიმერ ბალაძე 2. როლანდ დუდუჩავა 3. ელიზბარ ნადარაია 4. თორნიკე ქადეიშვილი 5. ალექსანდრე ხარაზიშვილი	
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები – კომპიუტერული ინჟინერია - 1 ვაკანსია
1. გიორგი გოგიჩაიშვილი 2. თამაზ ვაშაყმაძე 3. ალექსანდრე ლაშხი 4. რამაზ ხუროძე	
	მეცნიერებატევადი ინოვაციური ტექნოლოგიები - 1 ვაკანსია
1. რამაზ გახოკიძე 2. ალექსი გერასიმოვი 3. ვლადიმერ ელისაშვილი 4. დავით თავხელიძე 5. ნოდარ კეკელიძე 6. ირაკლი კოვზანაძე 7. თამაზ კოხრეიძე 8. ოთარ ლაბაძე 9. ლეონ მახარაძე 10. თამაზ ნატრიაშვილი 11. ნინო ომიაძე 12. გურამ ქაშაკაშვილი 13. მურმან ქურიძე 14. ირაკლი შეყრილაძე 15. თამაზ შილაკაძე 16. მერაბ ჯიბლაძე	
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
	ფიზიკური ქიმია - 1 ვაკანსია
1. შოთა სიდამონიძე 2. ვლადიმერ ციციშვილი	
	არაორგანული მასალათმცოდნეობა და ტექნოლოგიები - 1 ვაკანსია
1. გიორგი თავაძე	
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
	ბიოლოგია - 1 ვაკანსია
1. წუგზარ ალექსიძე 2. ირაკლი ელიავა 3. თენგიზ ზაალიშვილი 4. თეიმურაზ ლეჟავა 5. ვანო პაპუნიძე 6. თინათინ სადუნიშვილი	
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
	ქართული ენა - 1 ვაკანსია
1. ავთანდილ არაბული	
	ლიტერატურათმცოდნეობა (ზოგადი და ქართული ლექსმცოდნეობა) – 1 ვაკანსია
1. ენრიკო გაბიძაშვილი 2. ინესა მერაბიშვილი 3. აპოლონ სილაგაძე	

ინფორმაცია აკადემიკოსობის კანდიდატების შესახებ განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე www. science.org.ge/new.

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ირაკლი ჟორდანია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიკოსი

მსოფლიოს ე.წ ახალი წესრიგი სხვა არაფერია, თუ არა ნეოლიბერალური დიქტატურა!

მსგავსი „წესრიგი“, პრაქტიკულად, უკვე დამყარებულია დასავლეთის „დემოკრატიებში“, რისი უპირველესი ნიშანი ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მეშვეობით, სწორედაც რომ დისკრიმინაციაა ყოველივე ეროვნულის, ტრადიციულის და, რა თქმა უნდა, დე იურე თუ ჯერჯერობით ვერა, დე ფაქტო ყველგან ლეგალიზებულია ერთსქესიანი ქორწინებები!

ამ რეალობის შესაბამისად რეფორმირებული განათლების სისტემის მოთხოვნით პატარა ბავშვებს აღარ ასწავლიან გრინისა თუ ანდერსენის ზღაპრებს, სადაც პრინცს პრინცესა უყვარს, ანუ კაცს ქალი. ამის მაგივრად ისეთი ზღაპრები შექმნეს, სადაც მეფეს პრინცი უყვარდება და მასთან ქორწინდება. საბავშვო კომპოზიტორები ორი მამის ან ორი დედის ტექსტებზე ქმნიან სიმღერებს...

ჰოდა, აბა კაი ბიჭი ხარ და ხმა ამოიღე, მშობელმა გააპროტესტე, და შვილი არ გაუშვა ე.წ. გენდერული იდენტობის გაკვეთილზე, სადაც შენს პირმშოს უჩიჩინებენ, რომ ის არც გოგოა და არც ბიჭი, არამედ, როცა გაიზრდება თავად გადაწყვეტს ვაჟად დაბადებული კაბიანი ივლის თუ პირიქით, დიაცი, კონჩიტა მარტინესივით წვერს მოუშვებს – ფულად ჯარიმას არ გაკმარებენ და რამოდენიმე „დღეღამით“ „ადინოჩკა“ საკანშიც ჩაგსვამენ ურჩ მშობელს!

სწორედ ამგვარად დასაჯეს ამას წინათ გერმანიაში 9 შვილის მამა. გერმანიაში, სადაც ჯერ დე იურე არ არის დაშვებული ლგბტ-პედერასტების ქორწინებები?!

ამისთანებზე, რა თქმა უნდა, დუმან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით აღფრთოვანებული ჩვენი შინაური ნეოლიბერალი ხელისუფლება, ოპოზიცია, მათი სატელიტი არასამთავრობოები, (ანუ, ასოები და ქვემოთ, სადაც დამჭირდება „ასო“-ებად მოვიხსენიებ) და ტელევიზიები.

იმასაც ხშირად გაიგონებ ევროპა-ნატოს მეხოტბე ადგილობრივი ნეოლიბერალებისგან, მსგავსი საფრთხეები ჩვენ არ გვემუქრებაო, რაც მტკნარი სიცრუეა:

დარტანიანის, ლინო ვენტურას, ჟან გაბენის, ალენ დელონის, მატეო ფალკონეს ვაჟკაცი საფრანგეთი გააბახეს ამას წინათ ჩვენს თვალწინ და ქართველები ვის დავკარგივართ, ჩვენს ხოშზე ვინ გაგვალაღებს ნეოლიბერალური დიქტატურის ევროპა-ამერიკაში?..

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ბიძინა ივანიშვილის მორიგი ინტერვიუდან იმ სამ საკითხს გამოვყოფ, რა სკითხების გამოც მთელი არსებით ვეთანხმები და რამაც მეტ-ნაკლებად შეარბილა ინტერვიუს მიმართ საზოგადოების ზოგადი უკმაყოფილება:

ერთი, რომ მართლაც, ვინც უკრაინაში „გმირული“ ბრძოლისკენ მოუწოდებს ჩვენს ახალგაზრდებს, ჯერ საკუთარი შვილები გაუშვას უაზრო სასაკლაოზე, მეორე, „რუსთავი-2“-ს, როგორც სიცრუის მანქანის და ნაცბანდის პროპაგანდისტის მხილება და მესამე, ქართული ასოების წამყვან, კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარიას სამეულზე დარტყმა!..

სამივე ეს თემა, პირდაპირ თუ ირიბ ბმაშია წინამდებარე წერილის მთავარ თემასთან...

უკრაინაში, საბოლოო ჯამში, აშშ-ის მეთაურობით მთელი ევროკავშირის კონტინენტური ნეოლიბერალური იმპერია ებრძვის რუსეთს, როგორც ტრადიციული ფასეულობების დამცველ, კონსერვატიულ იმპერიას!

დიახაც რუსეთს, რადგანაც მხოლოდ რუსეთია ერთადერთი ხელისშემშლელი ძალა მსოფლიოში ნეოლიბერალური დიქტატურის დამყარების გზაზე!

იქიდან გამომდინარე კი, რომ ნეოლიბერალური იდეოლოგია თავშივე გამორიცხავს ქრისტიანობაში აღიარებულ ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებს, საბრძოლო პოლიგონად ქცეულ უკრაინაში აშშ-რუსეთის დაპირისპირებას თამამად შეიძლება კულტურათა, ცივილიზაციათა, უღმერთობასა და ქრისტიანობას შორის ომიც ვუწოდოთ.

თუმცა, ქრისტიანობა ფართო ცნებაა და აქედან, ჩვენს შემთხვევაში – არაზუსტიც, რადგანაც რომის კათოლიკური, ინგლისის ანგლიკანური, გერმანიის ლუთერული თუ სხვა პროტესტანტული ეკლესიები მსოფლიო ნეოლიბერალურ სახელისუფლებო წრეებში დიდი ხანია, აღარ განიხილებიან, როგორც წინაღობა, ნეოლიბერალური დიქტატურის დამყარების გზაზე, რადგანაც ამ ეკლესიებში შეგზავნილ-ჩანერგილმა აგენტებმა მოახერხეს და გაალიბერალეს თავის დროზე კონსერვატიული იდეოლოგიის მქადაგებელი ეკლესიები!

(ამის დასტურია, დედაკაცი მღვდლების მომრავლება და გნებავთ, ერთსქესიანი წყვილების „ჯვრისწერის“ პრეცედენტები).

მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა ის ძალა, რომელიც ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად მტკიცედ დგას რელიგიური დოგმატების, საზოგადოების ზნეობის, მორალის სადარაჯოზე!

ჯერჯერობით, რადგან ნეოლიბერალი აგენტები მართლმადიდებელ ეკლესიებშიც მუშაკობენ...

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დღეს რომ უდიდესი, უმდიდრესი და უძლიერესი ეკლესიაა მართლმადიდებელ სამყაროში, ვგონებ, სადავო არ არის!

დახედეთ, მე ვიტყოდი ლგბტ-პედერასტების ზეობის ამსახველ მსოფლიო რუკას, სადაც მუქი ლურჯი ფერით არის გამოყოფილი ის სახელმწიფოები, სადაც ერთსქესიანი ქორწინებების უფლება კანონით არის გარანტირებული!

ანუ ნეოლიბერალური დიქტატურა ლამის მთელს ამერიკის კონტინენტზეა დამყარებული, პლიუს სამხრეთ აფრიკა და დასავლეთ ევროპის ბენილუქსის, სკანდინავიის ქვეყნები.

ე.ი. როგორც ზევით შევთანხმდით, პრაქტიკულად მთელი ევროპა!!!

ცისფრად ის ქვეყნებია „შეღებილი“, სადაც ერთსქესიანი ქორწინების აქტი სრულდება კონკრეტულ იურისდიქციით; მწვანედ – ისინი, სადაც უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა მხარდამჭერი განჩინება, მაგრამ ჯერ არ აღსრულებულა; ყავისფერად – ისინი, სადაც საკითხი პოლიტიკური განხილვის სტადიაშია და თავად განსაჯეთ, რას ნიშნავს ევროპული, დასავლური ფასეულობები და საით მიექანება „განათლებული“ ამერიკა-ევროპა?..

ასეთი სახის რუკების მოძიებაც შეიძლება ინტერნეტში და როგორც რუკიდან ჩანს, მხოლოდ „ველური“ აფრიკა, ისლამური სამყარო და ევრაზიის კონტინენტი (წაიკითხე, რუსეთი) გასჩხერიათ ყელში მსოფლიო ნეოლიბერალებს.

აფრიკა და, მით უმეტეს, ისლამური სამყარო თავის თავს მიხედავენ, რადგანაც ისლამურ სახელმწიფოებში მეტ-ნაკლებად ყველგან, შარიათის „დემოკრატია“ მუშაობს და ალაჰმა ხელიც მოუმართოთ, ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ...

უკრაინელი ხალხის ტრაგედიაში ლომის წილი დასავლეთიდან დაფინანსებულმა ადგილობრივმა ასოებმა დაიდეს. ასოებმა, რომლებმაც სსრკ დაშლის შემდეგ მოახერხეს და კულტურულ, ისტორიულ, სარწმუნოებრივად პრაქტიკულად ერთი ერი, უკრაინელები და რუსები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდეს ერთმანეთს.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სიძლიერე არა მხოლოდ მრევლის სიმრავლესა და რწმენაში, არამედ იმაშიც არის, რომ რუსეთის ერი და ბერი, სახელმწიფო და ეკლესია, ერთსულ და ერთხორც არიან და ღვთის იმედთან ერთად, რუსეთის ბირთვული პოტენციალის იმედიც აქვთ!

ეგეც არ იყოს და რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა ზემოთ ხსენებულ სოდომიას გავრცელების მაჩვენებელ რუკაზე, სადაც 100 წლის (!) ვადით, კანონით არის აკრძალული გეიპროპაგანდა და, აქედან გამომდინარე, ერთსქესიანი ქორწინებებიც.

თუნდაც მხოლოდ ამიტომ მართლმადიდებელი ქართველის ერთი ნაწილის სიმპათიები ამერიკა-რუსეთის ომში ერთმორწმუნე რუსეთის მხარესაა!

> **მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა ის ძალა, რომელიც ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად მტკიცედ დგას რელიგიური დოგმატების, საზოგადოების ზნეობის, მორალის სადარაჯოზე!**

აღარაფერს ვიტყვი აფხაზეთის თუ ცხინვალის თემაზე, რომლის გადაჭრაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე უტოპიაა...

კიევისა არ იყოს, ქართული ასოების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში მსოფლიო ნეოლიბერალების მეხუთე კოლონის როლს ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ: **ლგბტ-პედერასტებით დაწყებული, სატანისტი სექტებით გაგრძელებული და მაწანწალა ძაღლების უფლებების დაცვით დამთავრებული და ამ ფონზე ყოველგვარი ქართულის, ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ აშკარა თუ ფარული ბრძოლა!**

აი, რისთვის უხდიან უხვად ფულს „ყიყლიყო“ კარლ ბილდის მსგავსი ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ კოჟორიძე-გიგაური-ლომჯარიების სამეული...

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ ასოებმა კიდევ ერთი ფარული ფუნქცია: ნაცბანდის გადარჩენა, რეაბილიტაცია იკისრეს!

ეს ახლა დაინტერესდნენ ციხეებში პატიმრების ყოფით, თორემ მაშინ პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული და თვალებზე ლიბრი გადაკრული, როდესაც პატიმრებს ოდნავ ხმამაღლა ლაპარაკისთვის ცემით ხოცავდნენ, სადისტურად აწამებდნენ და ცოცხებით აუპატიურებდნენ!

ეს ის ხალხია, რომლის დაჟინებული მოთხოვნითაც გაანადგურეს ნაცების სადისტობის დამადასტურებელი ათასობით ვიდეოფაილი!

არადა, ის კადრები მთელს საქართველოს უნდა ენახა და ნაცმოძრაობაც მყისიერად დამთავრდებოდა!

ეს ის ხალხია, რომელსაც კრინტი არ დაუძრავს და თუ დაუძრავს, ყასიდად წაუკნავლია 7 ნოემბერზე, 26 მაისზე, ციხის ბუნტზე, ასობით ახალგაზრდის ქუჩებში დახვრეტაზე!

ახლა ამ ასოების სამეული იტყვის, ჩვენ მაშინ არ ვიყავითო და ზოგიერთ, უფრო ადრეულ ეპიზოდებში პირადად ეგენი იქნებ არც იყვნენ, მაგრამ სახელებს რა მნიშვნელობა აქვს, მათი ორგანიზაციები ხომ იყვნენ?

ეს ის ხალხია, ვინც ამას წინათ სანდრო ბრეგაძის სამსახურიდან დათხოვა მოსთხოვა ხელისუფლებას იმის გამო, რომ სანდრომ, ჩვენი პატრიარქის და ეკლესიის შეურაცხყოფისთვის იდენტობის პედერასტების ბელადს – ირაკლი ვაჭარაძეს ავადმყოფი უწოდა!

ახლა არის და ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს დასავლეთის ნეოლიბერალმა „შნირებმა“ ბიძინა ივანიშვილის გამო – ეს როგორ გაგვიბედა, ჩვენ კითხვების დასმას როგორ გვიბედავსო. რასაც ოპერატიულად გამოეხმაურნენ ჩვენი ასოების პატრონები ევროკავშირიდან და მათაც საკუთარ შნირებზე ზემოქმედებაში დაადანაშაულეს ბიძინა ივანიშვილი და გოგა ხაინდრავა!

ეს ის ხალხია, ვინც კრინტს არ ძრავს საკაშვილის ყოფილი ხელისუფლების ფაშისტურ რეჟიმად გამოცხადებაზე და პრეზიდენტყოფილის დაპატიმრებაზე, რაც ქართველი ხალხის უმრავლესობის მოთხოვნაა!..

ამას წინათ ჩემმა მეგობარმა ნანა დევდარიანმა სწორედ კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურების სამეულის არასამთავრობოთა კლანი უწოდა, რომლის ვიზირების გარეშე არაფერი ხდება ქვეყანაში.

მართლაც, ყველაფერზე ამ ხლისტების კლანს სთხოვენ კომენტარს, ყველა ტელეეთერში ეს უწიგნური ლაწირაკები სხედან და საზოგადოებას მოძღვრავენ!..

ბიძინა ივანიშვილს ასოების სამეულზე შეტევის გამო, დანარჩენმა, ნაკლებად წონიანმა 35 ასომ, რუსეთისკენ გაიშვირა ხელი, იქაც ასოებზე განახორციელეს შეტევაო.

არადა, რუსეთში კანონმდებლობით დარეგულირდა იქაური ასოების მოღვაწეობა და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციები ვალდებულები არიან, რომ თითოეული ცენტი ხარჯვის მიმართულება ამცნონ შესაბამის ორგანოებს!

ჰოდა, თუ ეს არის დემოკრატიაზე შეტევა, მაშინ გაუმარჯოს ასეთ შეტევას, რადგანაც თუ არ აილაგმა ჩვენი ასოების უკონტროლო თარეში, თუ არ დამთავრდა საა-



კაშვილის წანწალი ევროპა-ამერიკაში, თუ არ მიეცა პოლიტიკური შეფასება 9-წლიან ფაშისტურ რეჟიმს და ნაცმოძრაობა სამუდამოდ არ გადაშენდა, საქართველოს მოსვენება და წინსვლა არ უწერია!..

დავით მხეიძე

◎ მოკლეს... მოკლეს... მოკლეს

„სისხლიანი სია“ 2004-2012

წლებია, ადამიანები, პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოების ნაწილი ნაციონალურ მოძრაობას „რეჟიმს“, ხოლო მის წარმომადგენლებს, ან იდეურ მხარდამჭერებს „მკვლელებს“ უწოდებენ. არადა, რადგან მედიაში მხოლოდ ყველაზე ხშირად გახმაურებული საქმეების მსხვერპლთა სახელები ისმის: გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძისა, ჰგონიათ, რომ სულ ესაა. ვისი ჭირისუფალიც აქტიურობს, მართლაც რომ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის სიმართლის დასადგენად და დამნაშავეთა დასასჯელად... მაგრამ მათი შვილები საკმარისი როდია, სხვა ბევრი „გვამიც“ ნაციონალური მოძრაობის ნამუსზე ჰკიდია.

2003 წელს „ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ მთავრობაში ფეხისმოკიდებისთანავე, ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა. კრიმინალებს, კანონიერ ქურდებს, მძარცველებს თუ ხულიგნებს შეუბრალებლად დაერივნენ და მოპოვებული ავტორიტეტით ისე შორს წავიდნენ, რომ დედებს ცხვირწინ უბოდიშოდ უყრიდნენ ჩაცხრილულ, ნაცემ, განადგურებულ გვამებს.

მაგალითად, 2006 წლის 7 დეკემბერს, ქუთაისში დაკავებისას მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა ვალერი ფხაკაძე, რადგან პოლიციელებმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დახმარება არ აღმოუჩინეს. ალბათ, თვალწინ დაგიდგათ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამსახველი ვიდეომასალა, სადაც კარგად ჩანს, როგორ ფეთქავს და სიცოცხლისთვის იბრძვის ჯერ კიდევ ცოცხალი ბუტა, მაგრამ სპეცრაზმელები „ოპერაციის“ დადგმის დეტალებით არიან დაკავებულნი და მომაკვდავს არ შველიან. არც სასწრაფო დახმარებაა შორიახლო, არც გულიანი ადამიანი, ვინც დაჭრილს სისხლს შეუჩერებს ან დახმარებას აღმოუჩენს. ეს კადრები მთელმა საქართველომ ნახა, მაგრამ არ უნახავს ბუტას დედას, ქალბატონ ია მეტრეველს... არც არასოდეს შეხედავს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, ამ კადრებით მეორედ მოუკლეს შვილი. ვიცით, ბუტა რობაქიძის დედის რეაქცია, მაგრამ არ ვიცით, რას ფიქრობს, რა განცდები აქვს ვალერი ფხაკაძის მშობელს. ისინი მედიასთან არ ურთიერთობენ, თუმცა, წლებია, სიმართლის დადგენას ელოდებიან.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ცხრა წლის განმავლობაში, რაც ნაციონალები ქვეყანას მართავდნენ, სპეცოპერაციისას, ან დაკავებისას, ავტოსაგზაო შემთხვევისას თუ ცემით პოლიციელთა ხელით 50-მდე ადამიანია გარდაცვლილი. ოზურგეთში ნოდარ მესხიძეს სამართალდამცველებმა საკუთარი სახლის წინ 26 წლის შვილი თვალწინ მოუკლეს. წინა ხელისუფლება, ბუნებრივია, ამ ფაქტს არ გამოიძიებდა, მაგრამ არც ახლა გაკეთებულა რამე საქმის დასაძვრელად, მამა კი უშედეგოდ ელოდება, როდის იზეიმებს სიმართლე.

განსაკუთრებით მძიმე იყო 2004-2005-2006 წლები, როცა საზოგადოების მაღალი რეიტინგით მანდატმოპოვებული და გაყოყოჩებული ხელისუფლება უმისამართოდ ისროდა ტყვიებს. ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წელს პოლიციელთა ხელით 12 ადამიანი გარდაიცვალა. მაგალითად, ერთ დღეს მოკლეს ზუგდიდში დიკო ბარქაია და ზაზა ფანცქელაძე. მურთაზ ქარდავა და თემურ ხაბუნია კი ენრიკო სიმონიანის ოჯახზე თავდასხმისას მოკლეს 23 ნოემბერს. ევგენი და ომეხ აფრასიძეები მესტიაში 24 მარტს ჩატარებული სპეცოპერაციისას დაიღუპნენ.

2005 წელს სამართალდამცავებმა 15 ადამიანი მოკლეს. ავთო და ვახო გუმაშვილები 3 ივლისის სპეცოპერაციას შეეწირნენ. ხვიჩა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე სპეცოპერაციისას მოკლეს. ვახტანგ მარგოშვილს კი ოფიციალური ვერსიით, საზღვრის უკანონო გადაკვეთისას ესროლეს. ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა კი აბაშაში დაკავებისას დახოცეს. ასე ერთ დღეს, ჯგუფურად დახოცილი ბიჭების სისხლი ბევრია, ისე ბევრი, რომ ამის გამამართლებელ და ჩამდენ ხელისუფლებას დღე მოესწრაფა, თუმცა, არც თუ საბოლოოდ!

ჯერ კიდევ იმართლებენ თავს მკვლელები, სპეცოპერაციის დამგეგმავები, შემსრულებლები, საქმეების შემთითხვნელი და გამთეთრებელი ძალოვნები თუ მოსამართლეები.

2006 წელს ოფიციალურმა სტატისტიკამ 13 მოკლული ასახა. ესენიც ან დაკავებისას, ან სპეცოპერაციისას არიან დაღუპულები.

რაში იყო საქმე? ვის აძლევდა ხელს ამდენი გვამი. ნუთუ სპეცოპერაციის წარმატება იმაში მდგომარეობს, რაც მეტი დაღუპული იქნება, თუ პირიქით?! ამას არ ჰქვია წარმატებული სპეცოპერაცია. ეს საასკლაოა!!! ამით საზოგადოებაში შიშს თესავდნენ, „მიშა მაგარია“ თუ „ვანო მაგარიას“ იმიჯს ამყარებდნენ. „რუხი კარდინალის“ — ადეიშვილის სამართალს უნდა ემართა ქვეყანა. ხარობდნენ მაღალნი ამა ქვეყნისანი, ხარობდნენ ზონდერები, ხარობდნენ „მკვლელები“.

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებმა თითქოს განმუხტა ხელისუფლების აგრესია, რადგან იკლო მკვლელობის ტენდენციამ. 2007 წელს — 4 მოკლული, 2008 წელს — 4 მოკლული, 2009 წელს — 3 მოკლული... თუმცა, მკვლელობები გაგრძელდა ზონებში, სასჯელაღსრულების დახურულ სივრცეებში, იქ, სადაც საზოგადოების რისხვის რეაქცია იყო ნაკლები, ცუდად ხილვადი.

გარდაცვლილი ადამიანების სია გრძელია. ესენი იყვნენ კრიმინალები, რეციდივისტები თუ მანიაკები, უპირველესად, ადამიანები იყვნენ. მათ ჰყავდათ ოჯახები, ახლობლები, მეგობრები, ჰქონდათ სიცოცხლის უფლება... ესენი რომ ყოფილიყვნენ უნებლიე მსხვერპლნი, რომელთა გამო ხელისუფლება მწუხარებას გამოთქვამდა, ან დანანებით აღნიშნავდა, რომ სპეცოპერაციას ტრაგიკულად შეეწირნენო, საზოგადოების რეაქცია იქნებოდა აბსოლუტურად ადეკვატური. მაგრამ დღეს არავის აინტერესებს, იყვნენ თუ არა ეს ადამიანები დამნაშავეები... ჩვენ ყურში ჩაგვესმის და თვალწინ გვიდგას კადრები ვანო მერაბიშვილის შეშლილი სახით და განწირული ხმით, როცა ის სპეცრაზმელებისგან გვამებს ითხოვს...

შესაბამისად, საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ გვსურს გვამებზე შემდგარი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა, არ გვინდა სისხლიანი სიებით მართული ქვეყანა და არ გვინდა, ისევ განმეორდეს სულისშემძვრელი და ამაზრზენი მოკლეს... მოკლეს... მოკლეს!!!

თეა მოსია

◎ უხილავი ფრონტი

„დიდი ეკონომიკური პროექტები სპეცსამსახურების გარეშე არ კეთდება“

არის თუ არა საქართველო შპიონაჟის გზაჯვარედინზე და გარდა მედიასაშუალებებისა, რომელ სფეროში ეძებენ დასაყრდენს რუსეთის სპეცსამსახურები? — ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge უშიშროების გადამდგარ პოლკოვნიკს ბესო ალადაშვილს ესაუბრა.

— საქართველოს გეოპოლიტიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, აქ მოქმედებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები. ძირითადად, რომელი ქვეყნის დაინტერესების სფეროა საქართველო?

— საქართველოში აქტიურად მოქმედებენ ძალიან ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურები, შესაძლოა, ორი ათეული ქვეყანა დავასახელოთ. ზოგიერთ ქვეყანას საქართველოზე მეტად, თავისი მოწინააღმდეგე ქვეყანა აინტერესებს. ჩვენ ვსაუბრობთ სამსახურზე, რომელიც ფარული მოქმედებებით მოიპოვებს ინფორმაციას, აკეთებს მის ანალიზს და ახდენს რეალიზაციას, ანუ სამივეს აქვს თავისი ფუნქცია. მაგალითად, ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას ახორციელებს სხვა სამსახური, ანალიზს სხვა ჯგუფი აკეთებს, ხოლო მის რეალიზაციას სულ სხვა ჯგუფი ახდენს. აქ უმთავრესი არის ანალიტიკოსთა ჯგუფი, რომლებიც დავალებებს აძლევენ ერთსაც და მეორესაც.

— საქართველოს შემთხვევაში რომელი ჯგუფია უფრო ძლიერი?

— სამწუხაროდ, საქართველოს შემთხვევაში ჯერ კიდევ არის ძველი „კაგებეს“ სტილის სტრუქტურა. ადამიანური განწყობაც ისევ ძველი „კაგებეესია“. ჩვენთან პროფესიონალად თვლიან იმ კადრებს, ვისაც ფარული ჩაწერა ან მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება შეუძლია, მაგრამ არავინ ამბობს, რომ სპეცსამსახურების მთავარი შედეგი ეს არის ანალიზი, ინფორმაციის მიღება-გადამუშავება. ასე მუშაობენ დღეს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ისრაელის სპეცსამსახურები. ანალიტიკის სამსახური ძლიერი უნდა იყოს. სამწუაროდ, ეს მეორე და მესამეხარისხოვნად არის მიჩნეული ჩვენთან, რაც უდიდესი შეცდომაა.

— ამის ფონზე რამდენად ძლიერია რუსული სპეცსამსახურების გავლენა ქვეყანაში?

— გეოპოლიტიკურ სივრცეში სამი მეზობელი გვყავს — ირანი, თურქეთი და რუსეთი, რომელთაც როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები აქვს. მათ აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიტუაცია. ამასთან ერთად, არ უნდა გამოვრიცხოთ ჩვენი სხვა მეზობლები, აზერბაიჯანი და სომხეთი. მათ შორის დაძაბული ურთიერთობის გამო, ბუნებრივია, რომ ერთმანეთის შესახებაც სურთ ინფორმაციის მოპოვება და ეს ხდება საქართველოში. ამას გარდა, მათ აინტერესებთ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ამ თითოეული ქვეყნის მიმართ. სამწუხაროდ, ჩვენ ამ შპიონაჟის გზაჯვარედინზე ვართ. სამწუხაროდ, არავის არ უნდა, რომ საქართველოს ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავდეს, არც ჩვენს მეგობრებს.

— რატომ?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. რუსეთზე ვსაუბრობდით და, ბუნებრივია, რუსეთის ინტერესში არ შედის საქართველოს ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავდეს, რათა მისი გეგმები არ ჩაშალოს. შსს-ს და უშიშროების სამინისტროს გაერთიანებით მოკვდა სპეცსამსახური. ამით ჩვენი ეროვნული უსაფრთხოება უფრო შესუსტდა. წესით, ეს არ უნდა ყოფილიყო ჩვენი დასავლელი პარტნიორების ინტერესში. ჩვენი დასუსტებული სპეცსამსახურები არავის არ აინტერესებდა. რაც შეეხება კვალს, ეს უნდა განისაზღვროს საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის მიხედვით. თუ ჩავუღრმავდებით, რომელი ქვეყნის ეროვნული ინტერესია გატარებული თუნდაც ეკონომიკურ პროექტებში, ამას უკვე მივყავართ სპეცსამსახურების კვალზე. დიდი ეკონომიკური პროექტები სპეცსამსახურების გარეშე არ კეთდება.

— ეკონომიკური პროექტი ახსენეთ, ძალიან აქტიურად მიდის საუბარი ქვეყანაში რუსული ინვესტიციების შემოდინებასთან დაკავშირებით, იგივე „როსტნეფტის“ მიერ ფოთის პორტში შესვლა და ა.შ. ესეც რუსეთის სპეცსამსახურების გავლენაა?

— აქ მხოლოდ ფოთის პორტზე და „როსტნეფტზე“ არაა ლაპარაკი. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება უკანასკნელი 25 წელია, ძირითადად, რუსეთის კარნახით მიდის. ყველა ტრაგიკული მოვლენა, რომ რუ-

◎ გაბრაზებული მოქალაქის გულისთქმა

იმედი მაქვს, 2015 წელი იქნება შეცდომების გასწორების წელი

წავიდა 2014 წელი, და დამთავრდა მძიმე უარყოფითი ხედვა სინამდვილისა, კერძოდ იმისა, რომ ხელისუფლება და სამოქალაქო სექტორი ერთიანია და ყველა თავის ფუნქციაში ახორციელებს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შემცველ ქმედებებს. დამთავრდა თვითიზოლაციის ბნელი პერიოდი, ვფიქრობ, ამას თქვენც კარგად აცნობიერებთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. კერძოდ, ის, რომ, თვითიზოლაციამ მოიტანა უფსკრული და აბსოლუტური უნდობლობა ქვეყნის მოსახლეობისა და ხელისუფლების მიმართ. არა და ხალხი, მოსახლეობა, ეს ქვეყნის არსებობის ფენომენი ვერ შეეგუება ამ შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას ხელისუფლების მხრიდან. ადამიანი შეეგუება შიმშილს, უკიდურეს გაჭირვებას, მაგრამ ვერ შეეგუება შეურაცხყოფას. უდიდესი შეურაცხყოფა კი არის, რომ ხალხის არჩეული, ხალხის კისერზე მჯდომი, მშვენიერი ცხოვრებით გალაღებული ხელისუფლება არად აგდებს მარჩენალ მოსახლეობას, თვალში ნაცარს აყრის და გაუგონარი მიზეზებით უარს ეუბნება, რაზე, არ იკითხავთ? კონტაქტზე, ქვეყნის პრემიერს კი მიაჩნია, რომ მისი პერსონა არის მოვლენა და, ბუნებრივია, ამ ფონზე აშკარაა გამოუსწორებელი დანაშაული – ადამიანის, მოქალაქის უარყოფა, ურომლისოდაც საერთოდ რა საჭირონი არიან ხალხის კისერზე მჯდომი ერთი მუჭა მაღალი და უმაღლესი რანგის ჩინოვნიკობა.



დავივიწყოთ ის შავი, 2014 წელი და ვაღიაროთ, რომ მოქალაქე არის უპირველესი ძალა ხელისუფლებისა და მასთან მტრობა არასოდეს დამთავრებულა ხელისუფლებისთვის სასიკეთოდ. არც ამ განცხადების ავტორი და არც მთლიანად საქართველოს 80 პროცენტი მოსახლეობისა „ქართული ოცნების“ მტერი არ არის, ისინი დღესაც, მიუხედავად ზემოთ თქმული რეალური ნეგატიური მოვლენებისა, „ქართული ოცნების“ მოყვრები არიან და არავითარ შემთხვევაში მტრები და თუ ვინმე კენტად გამოერევა ამ მოყვრად მიღებულ ხელისუფლებაში ნეგატიურად მოაზროვნე, მას თვით ბუნების კანონი გარიყავს და მიუჩენს საკადრის ადგილს. ხელისუფლება მოდის და მიდის, ხალხი კი უკვდავია. ეს ფრაზა არის უკვდავი ისევე, როგორც ხალხი. გაუფრთხილდით ხალხს და ისინი გაგიფრთხილდებიან და თავს გასწირავენ თქვენთვის – ესეც ჭეშმარიტებაა.

ვეცადოთ, მცირედით მაინც გავაანალიზოთ, მაინც რაში მდგომარეობს ხელისუფლების ბრალი სამოქალაქო სექტორის მიმართ, მთავარი ხელისუფლების გაუცხოებაა, არ შევცდები, თუ ვიტყვი, ხელისუფლებამ შექმნა საშინელი ვაკუუმი თავის თავსა და ხალხს შორის, ეს არის გაუგონარი მოვლენა. ამ შემთხვევაშიც არ შევცდები, მსოფლიო ისტორიაში, ხელისუფლება შეძვრა ლოკოკინის ნაჭუჭში. წარმოიდგენდით? არადა, ეს უკვე ნათელია. ხალხი დარჩა უპატრონოდ. ნებისმიერი, ცოტა ძლიერი მასზე სუსტზე ისეთ ძალადობას ახორციელებს, ტვინის ამხდელს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და განმკითხავი არავინაა. პროკურატურას 10 წელია, ვაწუხებ ჩემს პრობლემებზე რუხაძესთან, ამ არამზადა ტიტულოვან იურისტთან და პროკურორი მწერს, „მეზობლები თქვენ თვითონ უნდა მორიგდეთ“-ო. რა ვქნა, 10 წელია, ვერ მოვრიგდით, დავხოცოთ ერთმანეთი? და დასაჭერი გავხდეთ ერთ-ერთი მხარე? ვაშა ასეთ ახალ საქართველოს, ასეთი ამაზრზენი ველური ძალადობა კომუნისტების დროს ნამდვილად არ ყოფილა.

1. ყაზტრანსგაზმა შემოიტანა მზაკვრული პროექტი და განახორციელა კიდეც მისი პირველი ეტაპი გაზის ხარჯვის ნიშნული, რომელიც იღებოდა თვის ბოლოს, გადმოიტანა 21 რიცხვში, ერთი მითხარით, რა გონივრული მიზანი იდო ამ გადაწყვეტილებაში, რითაა უკეთესი 21 რიცხვი ნიშნულის ასაღებად და ანგარიშსწორების მიზნით, ვიდრე თვის ბოლო, თანაც გადახდის ბოლო ვადა დააწესა მომდევნო თვის 7 რიცხვი (ეს რიცხვი ყველაზე უხერხული დროა მოსახლეობისათვის) მაშინ, როცა თითქმის 1 მლნ. მოსახლეობა, მათ შორის პენსიონერები, შემოსავლებს ღებულობენ თვის 15 რიცხვში. ყაზტრანსგაზს თავის ქვითრებში მინიშნებული აქვს, რომ, თუ ერთი წლის მანძილზე მომხმარებელმა სამჯერ გადააცილა გადახდის ვადას, მან უნდა წინასწარი გადახდით ისარგებლოს გაზით. ამას კიდევ სხვა შორს მიმავალი მოვლენები მოჰყვება. ერთ-ერთი მათგანი კი არის ის, რომ დაირღვა თელასის, წყლისა და დასუფთავების საგადასახადო ქვითრების დარიგების რეჟიმი, თუ ადრე ქვითრები მოდიოდა 10 რიცხვამდე, ახლა მოდის 17-18 რიცხვში, და ვისი ხელით, ვერ გაარკვევ. ერთმა უზნეო ღონისძიებამ გამოიწვია ნეგატიური ჯაჭვური რეაქცია. დაველოდოთ კიდევ ახალ სიურპრიზებს.

ამ საკითხზე მივმართე ენერგომარეგულირებელ კომისიას და ესენი სრულიად ცვედნები გამოდგნენ ამ უაღრესად საჭირო საკითხის მოგვარებაში.

გნებავთ, კიდევ მაგალითები? კომუნალურ საკითხებს განაგებს პროკურატურა და პოლიცია, გამგეობა კი ყავის სმით არის დაკავებული. თუმცა, მეტს ვერც შეძლებენ, იმდენად შემცირებულია და პროფესიულად დაცვეთილი შტატები არსებობს დღევანდელ გამგეობებში. შემიძლია, მივყვეთ უპატრონობის დამადასტურებელ უამრავ მაგალითს. მე პირდაპირ გეტყვით, ასეთ დემოკრატიას (პლუტოკრატიას) მირჩევნია დიქტატურა, მაგრამ კანონის დიქტატურა, სადაც კანონი ყველასთვის ერთია.

2. ისევ ჩემი საქმე, 2015 წელს ვადა გაუვიდა უკვე მეთერთმეტედ უფლებამოსილების გადავადებულ კომისიას, ახლა მაინც ვთქვათ, რომ ეს კომისია იყო და არის ბლეფი და ამით წერტილი დავუსვათ ბნელ წარსულს და არა მარტო.

12 წელია, ვადაგადაცილებულია სახელმწიფო ობლიგაციების დაფარვის ვადა, რომლის ნაწილიც დაფარულია წინა ხელისუფლების მიერ საკუთარ მხარდამჭერ ფავორიტებზე. საერთოდ, ამ ობლიგაციებთან დაკავშირებული მოვლენები ბუნებაში არარსებული მოვლენებია, რაც არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას.

იმედი მაქვს, 2015 წელი იქნება შეცდომების გასწორების წელი.

ერთი მაინც უნდა ვთქვა, მოყვრის პირით – ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამ უდიდესი სიკეთის მკეთებელმა, მაინც ვერ შეძლო უშეცდომოდ მოსვლა დღემდე, შეცდომები კი სერიოზულია:

1. სააკაშვილის აღზევება. ამ ჭკვიანი ბოროტებისა, არა და ნათქვამია, „გეშინოდეს ჭკვიანი ბოროტების“, თუმცა, უჭკუო ბოროტებაც არ ყოფილა შეღავათი.

2. 2012 წლის 1 ოქტომბერს არ განახორციელა ხალხის მოთხოვნა, პირდაპირი ლიკვიდაცია ნაციონალური მოძრაობისა, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია შეკრული ბანდიტური მენტალიტეტის ადამიანებისაგან და ითამაშა მათთან კოჰაბიტაცია, რამაც ააღორძინა უკვე სამარეში წასული ნაციონალები და დღეს ისე უტევენ „ქართულ ოცნებას“, რომ დგას რეალური საშიშროება მათი დაბრუნებისა. დღეს ნაცისტები ყველაზე მდიდარი ორგანიზაციაა, ხოლო სააკაშვილი ივანიშვილზე მდიდარი. ყაჩაღურად ხალხის ჯიბიდან ამორთმეული სახსრებით სააკაშვილის ბანდა დღესაც ეწევა დანაშაულებრივ ქმედებებს – საბოტაჟებით, პროვოკაციებით, ხელისუფლებაში ჩანერგილი ემისრებით და, რაც მთავარია, ქვეყნის ღალატით, ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით.

თუ ყველაფერ ამას ბოლო არ მოეღო, საქართველო საბოლოოდ დაღუპულია.

ერთი რისი დასკვნაც შემიძლია, გავაკეთო, ერთადერთი, რაც შეუძლია გარეშე მტერს, ეს არის შიდა უკანონო ქმედებებით დაბეჩავებული სახელმწიფოს იოლად დამარცხება.

ველოდები საქმიან პასუხს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილისა და ნოდარ ხადურისაგან.

არ დაგავიწყდეთ, თქვენ გაქვთ, პირადად თქვენ, ჩემი ვალი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაისტუმროთ.

ქართლოს ზაქარეიშვილი

სეთის სპეცსამსახურების კაბინეტებშია დაგეგმილი, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება? რაც შეეხება „როსტნეფტს“, შეხედეთ, როგორ არის – გარეგნულად ეს არის ბიზნესგარიგება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ნაციონალების დროიდან მოდის – ჯერ იყიდეს წილები და შემდეგ, უკვე, გაყიდეს რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენზე, რომელმაც, თავის მხრივ, უკვე გაყიდა რუსულ კომპანიაზე. ერთი შეხედვით, ეს წმინდა ბიზნესგარიგებაა, მაგრამ არავინ არ უნდა მოტყუვდეს. რუსეთში ყველა ასეთი სტრატეგიული დარგის უკან სახელმწიფო დგას, ყველგან თავისი ოდენერები ჰყავს და მათ შორის – „როსტნეფტში“. იგივე თელასი... არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ეს კომპანია არ არის რუსეთის. რუსეთს როცა საელჩო არ ჰყავს საქართველოში, ბუნებრივია, ასეთ კომერციულ სტრუქტურებს გამოიყენებს.

– რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, სერიოზული პოლიტიკური პარტია სულ რამდენიმეა, მათ შორის გამოკვეთილი არიან პრორუსული პარტიებიც. მოახლოებულ წინასაარჩევნო პერიოდთან ერთად, ალბათ, გააქტიურდებიან ქვეყანაში მოქმედი სპეცსამსახურები, რომლებთაც საკუთარი ინტერესი აქვთ...

– ბუნებრივია, ეს მსოფლიო პრაქტიკაა. პოლიტიკური პროცესის დაგვირგვინება არჩევნებზე ხდება. თუ მათი ინტერესია რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლა, ასევე საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა, როგორც ეს მოხდა გამსახურდიასა და შევარდნაძის დროს (ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება), მაშინ, მთავარია, არჩევნებზე სასურველი შედეგის დადება. რა თქმა უნდა, საარჩევნოდ გააქტიურდებიან და ამ შემთხვევაში, უნდა ველოდოთ კომპრომატების ომს. მართვადი ქაოსის შექმნა ძალიან იოლი ხდება, როცა ეს ქაოსი შეგნებულად არის დაგეგმილი.

– გასულ კვირას ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ რუსული სპეცსამსახურები დიდ ფინანსებს დებენ მედიასაშუალებებში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში იქმნება ახალი ტელევიზია, რომლის მთავარ დამფინანსებლად სახელდება რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია. მისი პოლიტიკური გემოვნება კი ცნობილია. მედიასაშუალებების დაფინანსების მთავარი მიზანი, ცხადია, არის საზოგადოების აზრის შეცვლა და საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გატარება. რამდენად შეძლებს რუსეთი ამ კუთხით წარმატების მიღწევას?

– გარკვეულწილად, ეს მოსალოდნელია არა მარტო მასმედიაში, არამედ სპეცსამსახურები ეცდებიან, ყველა სფეროში იპოვონ დასაყრდენი. ამ შემთხვევაში, აქტიური უნდა იყოს ქვეყნის კონტრდაზვერვა, რომ არ მოხდეს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება. თუმცა, ეს სავსებით მოსალოდნელია იმავე არასამთავრობო სექტორში, სააგენტოებში. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, ვერ ვხედავ ახალ მედიას, ძირითადად, ფული მაინც ელექტრონულ მედიაში ჩაიდება. ფსიქოლოგიურ ომს აქვს ასეთი თვისება – მას შეუძლია, დიდი გავლენა მოხდინოს საზოგადოებაზე. როდესაც რომელიმე ინტერვიუზე ან მასალაზე ვკითხულობ კომენტარებს, აშკარა ხდება, რომ ძალიან ბევრი ფსევდონიმის უკან სპეცსამსახური დგას.

თამთა ქარჩავა

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ფრაზები

● ეკა გიგაურო, მითხარი 7 ნოემბრის მერე რატო დაგაწინაურეს და ლარდვაცატს მოგცემ.

● ამ ბოიარდის ციხესიმაგრის ლილიპუტს უსმენთ? ვალერი გელაშვილმა ზეწოლა განახორციელა – პროკურატურაში დაიბარა სპეცრაზმელები, ვინც ის ცემა და ბოდიში მოახდევინაო. სულ ვფიქრობ, ამათგან აღარაფერი გამიკვირდება-მეთქი, მაგრამ ამაოდ...

● ეს შვილების სიის გამოქვეყნება რა უბედურებაა, ნაციონალებმა დაავალეს, ბავშვები გაგვიმარიაუეთო?

● ნანუკა ჟორჟოლიანი რუსულიდან გვითარგმნის! აბა დავეწაფოთ ცოდნის წყაროს, ხააალხო!

● ულამაზოა (თავაზ.), როდესაც სოზარ სუბარი გოგა ხაინდრავას „ზოგიერთი მოქალაქე“-თი მოიხსენიებს.

● ნატოს საწვრთნელი ცენტრი სამხედრო დანიშნულების არ იქნება. – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმიან რასმუსენოვიჩ სტოლტენბერგმა, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე.

როდის აქეთ დაიწყო NATO-მ საბალეტო დანიშნულების ბაზების შენება?

● შეიძლება არ მესმის ქართული პოლიტიკის კულუარებში რა ხდება, მაგრამ არ მომეწონა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე თავისუფალი დემოკრატების პოზიცია, რაც ზუსტად ემთხვევა ნაცების აზრს და არამხოლოდ ამ მიზეზით...

შევეცდები ავხსნა:

1. ეს ცვლილება კარგა ხანია მისაღებია, რადგან ეს გაუთავებელი რეკლამები რაღაც ჩარჩოში უნდა მოექცეს, აუცილებლად და ამას არაფერი აქვს საერთო თავისუფალი აზრის შეზღუდვასთან;

2. გარედან, ანუ საზოგადოებისთვის, ძალიან ცუდად სჩანს თავისუფალი დემოკრატების ასეთი პოზიცია და უკვე გაისმის ხალხის აზრი, რომ ისინი ნაცების გვერდით დგანან, რაც რეალურად ასე არ არის;

3. ეს ცუდად იმოქმედებს მათს ელექტორატზე 2016 წლის არჩევნებში, მით უმეტეს, რომ მოსახლეობა, რომელიც უბრალოდ შეწუხებულია ამდენი უაზრო რეკლამით, თითქმის 100%-ით უჭერს მხარს ამ ცვლილებებს.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ხელშეკრულება ამაღლებულ ტონებში

რაზე დავობენ რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის ინტეგრაციის მომხრეები

ცხინვალში **დაამთავრეს მუშაობა სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების პროექტზე და იგი მოსკოვში გაგზავნეს. პოლიტიკური დაპირისპირება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შეიძლება, ქუჩის დაპირისპირებაში გადაიზარდოს: რესპუბლიკის საპარლამენტო უმრავლესობას განზრახული აქვს, 8 თებერვალს ქალაქის მთავარ მოედანზე გამოიყვანოს თავისი მომხრეები. რესპუბლიკის ხელისუფლებამ ეს აქცია აკრძალა.**

ხელშეკრულების პროექტი სამხრეთ ოსეთში განიხილება 2014 წლის დეკემბრიდან. მაშინ პარტია „ედინაია ოსეტიამ“ შესთავაზა პროექტი, რომელიც

ვარაუდობს სამხრეთი ოსეთის ძალოვანი სტრუქტურების სრულ შერწყმას რუსეთის სტრუქტურებში და რუსეთს მისცა უფლება, მიიღოს გადაწყვეტილებანი სამხრეთი ოსეთის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

ეს პროექტი არ მოეწონათ რესპუბლიკის სუვერენული განვითარების მომხრეებს, რომლებმაც შექმნეს სამხრეთი ოსეთის კონსტიტუციის დაცვის საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს წევრების აზრით, პოლიტიკური სიტუაცია რუსეთში შეიძლება შეიცვალოს და მაშინ სამხრეთი ოსეთი აღმოჩნდება თავისი შეთანხმებების მძევალი.

„ამ პროექტს არ შეიძლება, ეწოდოს საკონსტიტუციო, მის მიხედვით რესპუბლიკა ხდებოდა გარე მართვის ტერიტორია“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საბჭოს წარმომადგენელმა ასმონ ბიაზროვმა. ამ აზრს ეთანხმება აღმასრულებელი საბჭოც.

იანვარში რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეიქმნა პოლიტსაბჭო, რომელმაც დაამუშავა ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რუსეთისა და სამხრეთი ოსეთისთვის „საგარეო თავდაცვისა და უშიშროების ერთიანი კონტურის“ შექმნას, მაგრამ ცხინვალისთვის ძალოვანი უწყებებისა და ომის დროს გადაწყვეტილების მიღების უფლების შენარჩუნებით. პროექტი იანვრის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა, მაგრამ იგი საბოლოო არ აღმოჩნდა. იანვრის ბოლოს ცხინვალში კონსულტაციებისთვის ჩამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს წარმომადგენლები — დსთ-ს, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკებთან თანამშრომლობის სახელმწიფოებიდან. მომზადდა დოკუმენტის ახალი ვარიანტი. მასში, როგორც წინაშიც, საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთის ფედერაცია და სამხრეთი ოსეთი „აყალიბებენ თავდაცვისა და უშიშროების ერთიან სივრცეს“. რუსეთი „უზრუნველყოფს პარტნიორის თავდაცვასა და უშიშროებას, მათ შორის, სამხრეთი ოსეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვას“ და ამ მიზნით პროექტის ავტორები გვთავაზობენ „შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების ორგანოების ცალკეული ქვედანაყოფების“ გაუქმებას მათი გადაცემით რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილებაში. თუ როგორი იქნება ეს ქვედანაყოფები, ავტორები გვთავაზობენ განვსაზღვროთ ცალკეული შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოეწერება ძირითადი ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

დანარჩენებში პროექტი ცოტა რამით თუ განსხვავდება წინა პროექტებისგან. მასში, კერძოდ, საუბარია იმის შესახებ, რომ გამტარი პუნქტები რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვარზე გაუქმდება, ხოლო სახელმწიფო მუნიციპალური დაწესებულებების მუშაკთა ხელფასები — ეტაპობრივად გაიზრდება რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთის კავკასიის ფედერალური ოლქის ხელფასების დონემდე. სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის მრჩეველი კონსტანტინ კოჩიევი ვარაუდობს, რომ ხელშეკრულება „მნიშვნელოვნად ზრდის საიმედოობის დონისა და უშიშროების გარანტიის ამაღლებას“. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ხომ „რესპუბლიკაზე თავდასხმა გაუთანაბრდება რუსეთის ფედერაციაზე თავდასხმას“.

30 იანვარს სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნა ხელშეკრულების პროექტი. „ამჟამად პროექტი გადის შეთანხმებას რუსეთის ფედერაციის სამინისტროებსა და უწყებებში, რის შემდეგაც დაუბრუნდება სამხრეთ ოსეთს მათი სურვილებითა და რეკომენდაციებით, — უამბო ჩვენს გამოცემას სამხრეთი ოსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა დავით სანაკოევმა.— როდესაც ყველა საკითხი შეთანხმებული იქნება, სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელშეკრულების პროექტს წარუდგენს პრეზიდენტს, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დოკუმენტი გაიგზავნება ქვეყნების პარლამენტებში რატიფიკაციისთვის“.

ამ დროს პარტიამ „ედინაია ოსეტია“, რომელიც წარმოადგენს პარლამენტის უმრავლესობას, უკვე განაცხადა თავისი უთანხმოების შესახებ ხელშეკრულების ახალ პროექტთან დაკავშირებით. „რუსეთი მზადაა, ხელი მოაწეროს ხელშეკრულების იმ პროექტს, რომელიც ახდენს ჩვენი რესპუბლიკის მაქსიმალურ ინტეგრაციას რუსეთის სივრცეში, მაგრამ ჩვენ რატომღაც არ გვინდა გადავდგათ ეს ნაბიჯი, — გაოგნებულია სამხრეთი ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი დიმიტრი ტასოევი. — ჩვენი პარტია სთავაზობდა მაქსიმალური ინტეგრაციის პროექტს და ჩვენ, რასაკვირველია, დავიცავთ მას“. ბატონმა ტასოევმა შეგვახსენა, რომ მისმა პარტიამ მოიგო არჩევნები, დაგვპირდა, ხელი შეუწყოს სამხრეთი ოსეთის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში. პარტია აპირებს 8 თებერვალს გამართოს მიტინგი, რომ შეეკითხოს თავის ამომრჩევლებს, სურთ მათ „მაქსიმალური ინტეგრაცია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლამდე“, თუ არ სურთ.

„ედინაია ოსეტიას“ ოპონენტები მიიჩნევენ, რომ პარტია აწარმოებს მოქალაქეთა სურვილით სპეკულირებას, შევიდეს რუსეთში. „რუსეთი დღეს გვთავაზობს ზუსტად — გავიგოთ, რომ რუსეთის ფედერაციაში სამხრეთი ოსეთის შესვლაზე ამჯერად საუბარიც კი არ შეიძლება, — ამბობს ინფორმაციის, ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი კომუნიკაციების კომიტეტის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ გობოზოვი, — თუ რუსეთი მოინდომებდა, ჩვენ უკვე ხვალ ვიქნებოდით რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ბატონი სანაკოევი კი მიიჩნევს, რომ ინტეგრაცია პროექტის მიხედვით, რომელსაც გვთავაზობს პარტია „ედინაია ოსეტია“, რუსეთს ბევრ ახალ პრობლემას შეუქმნის: „დასავლეთიც და საქართველოც დუმან ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხედავენ, რომ აქ ხდება რაღაც არაკონსტრუქციული პროცესი, და ელოდებიან, რომ ეს პროცესი ზიანს მოგვაყენებს როგორც თავად ჩვენ, ისე რუსეთსაც.

„ედინაია ოსეტიას“ დაპირება — გამოიყვანოს მოედანზე თავისი მომხრეები — გვაგონებს მოვლენებს აფხაზეთში. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის მაისში აფხაზეთის ოპოზიციამ გადააყენა პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი, რომელსაც, კერძოდ, არ სურდა ხელი მოეწერა რუსეთთან მოკავშირეობის ახალი ხელშეკრულებისთვის. პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა უკვე განაცხადა, რომ ვერ ხედავს მიტინგების აუცილებლობას და არ დაუშვებს „არანაირ ხელოვნურ დესტაბილიზაციას“. სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობის თანახმად, რესპუბლიკის ხელისუფლებამ საპარლამენტო უმრავლესობის პარტიას აუკრძალა მიტინგის გამართვა.

Коммерсант

◎ ფოტოფაქტი



ნორჩი იაპონელი გოგონები კიმონოებში ისვენებენ გასართობ პარკში სრულწლოვანების დღეს. ამ დღესასწაულს აღნიშნავს ყველა იაპონელი, რომელსაც შარშან 20 წელი შეუსრულდა. ეს იაპონურად სრულწლოვანების ასაკია.

დედამიწის ზურგზე

ლონდონში ეკვადორის საელჩოსთან პოლიციის პოსტი, სადაც „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი იმალება, ხაზინას 10 მილიონი ფუნტი დაუჯდა

2012 წლის ივნისიდან 2014 წლის ოქტომბრამდე პირდაპირ ხარჯებზე, რომლებიც დაკავშირებულია მორიგეობის ორგანიზაციასთან, დაიხარჯა 7,3 ფუნტი, კიდევ 1,8 მილიონი წავიდა ზეგანაკვეთურის გადასახდელად. სკოტლანდ-იარდმა დაადასტურა, რომ 31 ოქტომბრისთვის ხარჯების თანხამ 9 მილიონი ფუნტი შეადგინა, მას შემდეგ გასულმა სამმა თვემ ეს თანხა 10 მილიონამდე ასწია.

გაერომ უკრაინაში მშვიდობისმყოფელების გაგზავნისთვის ორი პირობა დაასახელა

„საჭიროა შესაბამისი მოთხოვნა ქვეყნიდან, აგრეთვე მანდატი, რომელიც უშიშროების საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ამ მომენტისთვის არც ერთი არ არის“, — გვაცნობეს ორგანიზაციაში. წინა დღით „საექსპერტო დონეზე“ იდეის განხილვის შესახებ იტყობინებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

აშშ კონგრესმა დაიწყო ახალი სანქციების მომზადება ჩრდილოეთი კორეის წინააღმდეგ

შესწორებები მიზნად ისახავენ, რომ აღკვეთონ უცხოეთის ორგანიზაციების ურთიერთობები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის იმ ინსტიტუტებთან, რომლებიც ჩართული არიან ფხენიანის ბირთვული და სხვა მსგავსი პროგრამების დამუშავებაში. ასეთი კომპანიების აქტივები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შეიძლება გაყინონ.

დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში იტყობინებიან დებალცევოდან ჰუმანიტარული დერეფნის შექმნის შესახებ

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის სეპარატისტებმა ხუთშაბათ ღამით გამოაცხადეს ჰუმანიტარული დერეფნის შექმნის შესახებ დებალცევოს რაიონში — ქალაქისა უკრაინის დონეცკის ოლქში, რომელიც უკრაინელ ძალოვანებთან დაპირისპირების ყველაზე ცხელი წერტილი გახდა და რომლებიც სეპარატისტებს სურთ ალყაში მოაქციონ.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPIII/CW/NCB-05 (I ლოტი და II ლოტი);**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **წერეთელი – მირზოევკა – მუღანლო – ქესალოს გზის კმ4-კმ16 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – I ლოტი; ბოლნისი – სიონის მონასტრის გზის კმ0 –კმ9 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – II ლოტი;**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **17 თვე I ლოტისთვის და 17 თვე II ლოტისთვის;**

შესაფასებელი ვალუტა: **ლარი**

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "ბელ-ბაუ" და შ.პ.ს. "ქცია"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 4,770,714.63 ლარი; II ლოტი - 4,200,370.54 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 4,770,712.59 ლარი; II ლოტი - 4,200,370.88 ლარი;

დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "FIN-ESTATE" და შ.პ.ს. "ნიუ ქონსთრაქშენი"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 5,183,614.84 ლარი; II ლოტი - 4,315,144.35 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 5,183,611.66 ლარი; II ლოტი - 4,316,051.59 ლარი;

დასახელება: Construction and Mounting Operational Company ChelyabinskTransSignal Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 5,214,536.55 ლარი; II ლოტი - 4,375,892.71 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ აქვს;

დასახელება: შ.პ.ს. "არალი"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - არ აქვს; II ლოტი - 4,478,326.72 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - არ აქვს; II ლოტი - 4,478,326.57 ლარი;

დასახელება: შ.პ.ს. MSK Investstroy
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 6,900,898.30 ლარი; II ლოტი – 4,947,677.18 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ აქვს;

დასახელება: : შ.პ.ს. "KAVKAZ-L" საქართველოს ფილიალი
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 8,522,163.04 ლარი; II ლოტი – 7,419,254.92 ლარი ;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 8,522,155.08 ლარი; II ლოტი – 7,419,255.66 ლარი;

დასახელება: "SAYIN INSHAAT
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 11,625,850.55 ლარი; II ლოტი - 8,034,443.39ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ აქვს;

დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):

დასახელება: Construction and Mounting Operational Company ChelyabinskTransSignal Ltd.
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 5,214,536.55 ლარი; II ლოტი - 4,375,892.71 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ აქვს;
დისკვალიფიკაციის მიზეზი: მინდობილობა არაა ხელმოწერილი კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგნლის მიერ;

დასახელება: შ.პ.ს. MSK Investstroy
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 6,900,898.30 ლარი; II ლოტი – 4,947,677.18 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ აქვს;
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ აქვს წარმოდგენილი მინდობილობა;

დასახელება: "SAYIN INSHAAT
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 11,625,850.55 ლარი; II ლოტი - 8,034,443.39 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: არ აქვს;
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ აქვს წარმოდგენილი მინდობილობა;

გამარჯვებული კომპანია(ები):

<u>I ლოტი</u>
დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "ბელ-ბაუ" და შ.პ.ს. "ქცია"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 4,770,714.63 ლარი; II ლოტი - 4,200,370.54 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 4,770,712.59 ლარი; II ლოტი - 4,200,370.88 ლარი;
საკონტრაქტო ღირებულება: 4,770,712.59 ლარი

<u>II ლოტი</u>
დასახელება: ე.ს. შ.პ.ს. "ბელ-ბაუ" და შ.პ.ს. "ქცია"
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: I ლოტი - 4,770,714.63 ლარი; II ლოტი - 4,200,370.54 ლარი;
სატენდერო წინადადების საბოლოო კორექტირებული ფასი: I ლოტი - 4,770,712.59 ლარი; II ლოტი - 4,200,370.88 ლარი;
საკონტრაქტო ღირებულება: 4,200,370.88 ლარი.

Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CW/NCB-05 (Lot I & Lot II)**
Scope of Contract: : **Rehabilitation of km4 - km16 section of the Tsereteli-Mirzoevka-Muganlo-Kesalo road Lot – I; Rehabilitation of km0 - km9 section of the Bolnisi-Sioni Monastery road Lot- II;**
Duration of Contract: **17 months for Lot I and 17 months for Lot II**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Bidder(s):

Name: JV "BEL-BAU" Ltd. & "KTSIA"Ltd
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 4,770,714.63; LOT-II - GEL 4,200,370.54;
Final Evaluated bid price: LOT-I - GEL 4,770,712.59; LOT-II - GEL 4,200,370.88;

Name: JV "FIN-ESTATE" Ltd. &"NEW CONSTRUCTION" Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 5,183,614.84; LOT-II - GEL 4,315,144.35;
Final Evaluated bid price: LOT-I - GEL 5,183,611.66; LOT-II - GEL 4,316,051.59;

Name: Construction and Mounting Operational Company ChelyabinskTransSignal Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 5,214,536.55; LOT-II - GEL 4,375,892.71;
Final Evaluated bid price: N/A

Name: "ARALI" Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I – No Bid; LOT-II - GEL 4,478,326.72;
Final Evaluated bid price: LOT-I – No Bid; LOT-II - GEL 4,478,326.57;

Name: MSK Investstroy Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 6,900,898.30; LOT-II – GEL 4,947,677.18;
Final Evaluated bid price: N/A

Name: "KAVKAZ-L" Ltd. BRANCH of GEORGIA
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 8,522,163.04; LOT II- GEL 7,419,254.92;
Final Evaluated bid price: LOT-I - GEL 8,522,155.08; LOT II- GEL 7,419,255.66;

Name: "SAYIN INSHAAT"
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 11,625,850.55; LOT-II - GEL 8,034,443.39;
Final Evaluated bid price: N/A

Rejected Bidder(s)
Name: Construction and Mounting Operational Company ChelyabinskTransSignal Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 5,214,536.55 GEL; LOT-II - 4,375,892.71GEL;
Final Evaluated bid price: N/A
Reason(s) for rejection: Power of Attorney is not signed by the authorized representative of the company.

Name: MSK Investstroy Ltd.
Bid price at bid opening: LOT-I - 6,900,898.30 GEL; LOT-II – 4,947,677.18;
Final Evaluated bid price: N/A
Reason(s) for rejection: Power of Attorney is not submitted.

Name: "SAYIN INSHAAT"
Bid price at bid opening: LOT-I - 11,625,850.55 GEL; LOT-II - 8,034,443.39GEL;
Final Evaluated bid price: N/A
Reason(s) for rejection: Power of Attorney is not submitted.

Awarded Bidder(s):
<u>Lot I</u>
Name: JV "BEL-BAU" Ltd. & "KTSIA"Ltd
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 4,770,714.63; LOT-II - GEL 4,200,370.54;
Final Evaluated bid price: LOT-I - GEL 4,770,712.59; LOT-II - GEL 4,200,370.88;
Contract Price: GEL 4,770,712.59

<u>Lot II</u>
Name: JV "BEL-BAU" Ltd. & "KTSIA"Ltd
Bid price at bid opening: LOT-I - GEL 4,770,714.63; LOT-II - GEL 4,200,370.54;
Final Evaluated bid price: LOT-I - GEL 4,770,712.59; LOT-II - GEL 4,200,370.88;
Contract Price: GEL 4,200,370.88

ალიან-ჩალიანი

თაღლითები ყალბ ვიზებს ამზადებდნენ

შსს-ს ცნობით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული სამსონ ჯ. და 1965 წელს დაბადებული ელზა კ. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღება-შეძენისა და გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ელზა კ. მოქალაქე ოლია შ-ს 18 000 ამერიკული დოლარის სანაცვლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ყალბი ვიზის დამზადებას დაჰპირდა.

ელზა კ-მ, თავისი ახლობლის – სამსონ ჯ-ს დახმარებით, ოლია შ-ს ერთ-ერთ ბანკში წინასწარ ჩაარიცხვინა ვიზის მიღებისთვის აუცილებელი აპლიკაციის შესავსებად საჭირო ოფიციალური გადასახადი – 336 ლარი. მან ქალბატონს ასევე დაუმზადა ყალბი ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ოლია შ-ს ანაზღაურება 770 ლარს შეადგენდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ სამსონ ჯ-მ, ასევე ყალბი ვიზის მისაღებად, მოქალაქე სოფიკო ჩ-ს დაუმზადა ყალბი ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მისი ანაზღაურება 870 ლარს შეადგენდა.

სამინისტროს ცნობით, ასევე დადგინდა, რომ ელზა კ. მოქალაქე იამზე კ-ს პოლონეთის ყალბი ვიზის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა. კერძოდ, ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ დაუმზადა, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მოქალაქე ერთ-ერთ კერძო კომპანიაში ოპერატორის პოზიციაზე მუშაობდა და მისი ყოველთვიური სარგო თვეში 770 ლარს შეადგენდა. ელზა კ-მ ასევე დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – ცნობა მოქალაქე ქეთევან ღ-ს სამუშაო ადგილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელს იმავე კერძო კომპანიაში ოპერატორის პოზიცია ეკავა და მისი ყოველთვიური სარგო 950 ლარს შეადგენდა. ელზა კ-მ აღნიშნული ყალბი ცნობები სამსახურის შესახებ პოლონეთის საელჩოში წარსადგენად დაამზადა.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სამსონ ჯ-მ და ელზა კ-მ ცნობებში თავად გააყალბეს ხელმოწერები. სამართალდამცველებმა სამსონ ჯ-ს კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ყალბი დოკუმენტები ნივთმტკიცებად ამოიღეს, ხოლო ელზა კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია 29 000 აშშ დოლარი და 2 000 ევრო. დანაშაულში მხილებული ორივე პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

დააკავეს ინტერპოლით ძებნილი

თბილისის ინტერპოლის და აჭარის საპატრულო პოლიციის სარფის სასაზღვრო საკონტროლო გამშვები პუნქტის თანამშრომლებმა ერთობლივი ღონისძიების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას, ბრიუსელის ინტერპოლის მიერ ძებნილი დააკავეს.

შინაგან საქმეთა საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია 04.12.2014 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი, ნიდერლანდების და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1975 წელს დაბადებული ჰალილ იალდიზკაია.

მისთვის წაყანებული აქვთ ბრალდებები გაყალბების, თაღლითობის და კრიმინალური ასოციაციის წევრობისთვის.

2001-2008 წლებში ჰალილ იალდიზკაია ბელგიაში იყო რამდენიმე კომპანიის მენეჯერი და დირექტორი. აღნიშნულ პერიოდში მან მთავრობას 241 დასაქმებული პიროვნების შესახებ ყალბი დეკლარაცია წარუდგინა.

ჰალილ იალდიზკაია დაკავებულია და გადაყვანილია აჭარა-გურიის დროებით მოთავსების იზოლატორში.

მკვლელობა გოგოლის ქუჩაზე

გარდაცვლილი გარემოვაჭრე ლელა ავლოხაშვილი თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ვაგზლის მოედანზე მყოფი გარემოვაჭრეები ყვებიან, რომ ის წუხელ ჯერ გაქურდეს, შემდეგ კი – გაგუდეს.

„მისული ვიყავი და ვნახე, რომ სახის მარჯვენა მხარე გაწითლებული ჰქონდა. ბაზრობაზე უნდა მოსულიყო და რომ არ მოვიდა, მისმა ქმარმა დარეკა და გვითხრა, რომ სახლში გარდაცვლილი იპოვა", – ამბობს ერთ-ერთი გარემოვაჭრე.

გარემოვაჭრეები გარდაცვლილს კარგ პიროვნებად ახასიათებენ და იმ შემთხვევაში თუ გამოძიება მკვლელის ვინაობას არ დაადგენს, აქციების გამართავს აპირებენ.

შემთხვევა გოგოლის ქუჩაზე მოხდა.

ინტერპრესი

◎ ჩოგბურთი

ქართველებმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს

საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა ფედერაციის თასის მიმდინარე გათამაშების წინ დაგეგმილი პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. მაკა ჩახნაშვილის გუნდმა ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფში პორტუგალიას 2:1 სძლია და აღნიშნულ დონეზე დარჩენა გაინაღდა.

პრინციპული დაპირისპირების პირველ მატჩში ეკატერინე გორგოძემ მარია ჟოაო კოელერი 6:3, 6:4 დაამარცხა, თუმცა საქართველოს პირველი ჩოგანი სოფო შაფათავა მიშელ ლარჩერ დე ბრიტოს ვერ გაუმკლავდა — 1:6, 3:6.

შედეგად, ყველაფერი წყვილთა შეხვედრაში გადაწყდა, რომელშიც შაფათავამ და ოქსანა კალაშნიკოვამ კოელერს და ლარჩერ ბრიტოს 7:5, 6:4 სძლიეს.

დღის მე-2 მატჩში ბელარუსმა, რომლის რიგებშიც სახელოვანი ვიქტორია აზარენკაც გამოჩნდა, ბულგარეთს 3:0 სძლია და მსოფლიო ჯგუფი II-ის პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

მარკოიშვილის სასტარტო და 9 ქულა პირეოსში

ევროლიგის მიმდინარე გათამაშებაში ზედიზედ მოგებული 15 მატჩის კვალად მანუჩარ მარკოიშვილის ცსკა პირეოსში „ოლიმპიაკოსს“ ესტუმრა და 76:84 წააგო.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მოსკოვური კლუბის სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 24 წუთში 9 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

მარკოიშვილმა 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს და ერთადერთი პერსონალური ფოლი მიიღო.

შედეგად, მანუჩარის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 13-ს უწია და ის სტუმართა რიგებში მხოლოდ სერბ მილოშ თეოდოშიჩს (20 ქულა) და ფრანგ ნანდო დე კოლოს (13 ქულა) ჩამორჩა.

„ოლიმპიაკოსის“ ლიდერმა ვასილის სპანულისმა 19 ქულა და 5 პასი მიითვალა, 10-ქულიან ზღვარს კი მეტ ლოესკიმ (13), ოტელო ჰანტერმა (12) და გეორგიოს პრინტეზისმაც (10) უწიეს.

F ჯგუფში ცსკა-ს და „ოლიმპიაკოსს“ 5 მოგება და თითო მარცხი მოუგროვდათ და პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ომი თუ მშვიდობა?

კიევის „დინამო“ საბრძოლველად მზადაა

„თუკი საჭიროება იქნა, ჩვენი ფეხბურთელები ომში სრული შემადგენლობით წავლენ“ — ეს განცხადება კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა გააკეთა.

უკრაინაში არსებული ვითარების შესახებ ყველასთვის კარგადაა ცნობილი და გამორიცხული არაა, ქვეყნის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საომარი მდგომარეობაც გამოაცხადოს, ამდენად, აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს.

„თუკი რომელიმე ფეხბურთელს ჯარში გაწვევის შესახებ შეტყობინება მოუვა, აღნიშნულს სამართლებრივ ჭრილში განვიხილავთ. თუ საჭირო გახდა, საომრად ყველა წავა, თუმცა კი, ვთვლი, რომ უმჯობესია, მოთამაშეებმა თავისი მისია შეასრულონ და უკრაინის მოქალაქეებს იმის იმედი ჩაუნერგონ, რომ მალე მშვიდობა დაისადგურებს“, — დასძინა სურკისმა.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

განას ფინალში გასვლა კინაღამ ძვირად დაუჯდა

აფრიკის 2015 წლის ეროვნებათა თასის გათამაშების მეორე ფინალისტი განის ნაკრები გახდა, რომელმაც ნახევარფინალურ შეხვედრაში ტურნირის მასპინძელი ეკვატორული გვინეა გაანადგურა — 3:0.

განელებმა გადამწყვეტი უპირატესობა პირველი ნახევრის ბოლოს მოიპოვეს: 42-ე წუთზე ჯორდან აიუმ 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ვაკასო მუბარაქმა სხვაობა გაზარდა. მეორე ტაიმში გვინეელები ბევრს ეცადნენ, თუმცა არაფერი გამოუვიდათ და 75-ე წუთზე ანდრე აიუსგან მესამე ბურთი მიიღეს — 3:0.

მატჩის მიმდინარეობამ ძალიან გააღიზიანა მასპინძელთა გულშემატკივრები, რომელთაც შეხვედრის ბოლოს სტადიონზე სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს, ხოლო შემდეგ განელ გულშემატკივრებს დაერივნენ, რომლებიც თავის გადასარჩენად სტადიონზე გადაცვივდნენ. 85-ე წუთზე თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა და მთავარმა მსაჯმა მატჩი შეაჩერა. პოლიციამ შეძლებისდაგვარად, განმუხტა ვითარება და სტადიონი მასპინძელთა გულშემატკივრებისგან დაცალა. მოედნის თავზე გამოჩნდა ვერტმფრენი, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში განელების გასაყვანად მზად იყო. შეხვედრა დაახლოებით 15 წუთის შემდეგ განახლდა და მსაჯმა მალევე ჩასტვინა საფინალოდ. განის ნაკრებს ფინალში კოტ დ'ივუარი დაუპირისპირდება, რომელმაც კონგოს სძლია — 3:1.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

რაიკონენი: „ფერარის“ საუკეთესო დროები არაფერს ნიშნავს

ხერესის ტესტების ოთხი დღიდან „ფერარიმ“ სამში საუკეთესო დროები დააფიქსირა, ერთხელაც მისი ძრავით მოასპარეზე „ზაუბერი“ იყო ყველაზე სწრაფი, მაგრამ ამის მიუხედავად იტალიურ კომპანიაში ნაადრევი დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებენ. მათი პილოტი კიმი რაიკონენიც თვლის, რომ ეს დროები ამ ეტაპზე არაფერს ნიშნავს.

„მაგრამ მთავარია, რომ ბევრი წრის გავლა შევძელით და ყველაფერი კარგად მუშაობს. რაიმე პრობლემა არ შეგვქმნია და მთავარი სწორედ ესაა“, — ამბობს მსოფლიოს 2007 წლის და, ჯერ-ჯერობით, „ფერარის“ ბოლო ჩემპიონი, ვინც ხერესის ტესტების ოთხივე დღის საუკეთესო დრო დააფიქსირა.

გასული სეზონი რაიკონენისთვის წარუმატებელი გამოდგა — ის ვერაფრით მოერგო ავტომობილს, რომელიც კვალიფიკაციებისას მეტ-ნაკლებად ავლენდა სისწრაფეს, მაგრამ რბოლებში აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანი იყო. და თუ ალონსო ასე თუ ისე ჩანს, მის ფონზე ფინელი პილოტი საერთოდ დაიკარგა, ამის მიზეზი კი მანქანის წინა ნაწილის თავისებურება იყო, რაც მართვის მის სტილს არ შეესაბამებოდა.

მართალია, წინა საკიდარი იგივე კონსტრუქციისაა, მაგრამ, როგორც კიმი ამბობს, SF-15T გაცილებით უკეთ შეეფერება მის სტილს: „გასულ სეზონთან შედარებით მანქანა უკეთ მუშაობს. რა თქმა უნდა, სამუშაო ჯერაც ბევრი გვაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა გაცილებით უკეთეს სიტუაციაში ვართ, ვიდრე შარშან ამ დროს“, — დასძენს რაიკონენი.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

კიდევ ერთი ბრაზილიელი ლამაზმანი

ალბათ, საქართველო უფრო მალე გახდება მსოფლიოს ზესახელმწიფო, ვიდრე ბრაზილიას დაელევა ლამაზმანები. სადაც უნდა გაიხედოთ და რომელი ქვეყნის ბულვარულ გამოცემასაც არ უნდა გადაავლოთ თვალი, ყველგან ბრაზილიელ ასულთა სილამაზე და სინარნარე მოგჭრით თვალს.

ყველა ბრაზილიელ მოდელ თუ არამოდელ ლამაზმანს ერთი მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორი აქვს. ესაა მისი აღმატებულება ფეხბურთი და სხვებს აბა რატომ ჩამოუვარდებოდა ცნობილი მოდელი გაბრიელა ლევინტია, რომელიც ფეხბურთის თავგადამკვდარი ქომაგია და ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების გარდა, საფეხბურთო კლუბ „სან პაულუსაც“ დიდის მონდომებით გულშემატკივრობს.

გაბრიელას თამამი ფოტოების გადაღება და ნიფხვის შემოძარცვა ჯერ კიდევ მაშინ უყვარდა, სანამ მის სახელს მსოფლიო გაიგებდა და ახლა, როდესაც უკვე პოპულარული მოდელის იმიჯს ატარებს, ვინაა მისი გამჩერებელი? არ იფიქროთ, რომ ჩვენ რაიმე საწინააღმდეგო გვქონდეს, პირიქით...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ზუგდიდი

ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა შესარჩევი კონკურსი

გასული წლის მიწურულს ორად გაყოფილ ზუგდიდში ცალ-ცალკე ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობების მოხელეთა შესარჩევი კონკურსი, რომელმაც როგორც კონკურსში მონაწილეთა, ისე არა მონაწილეთა შორის, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

კონკურსი მოიცავდა სამ ეტაპს: პირველი – განცხადებების გადარჩევა, მეორე – ტესტირება და მესამე – გასაუბრება. ზუგდიდელი 55 წლის ეკონომისტი ბადრი დარასელია მონაწილეობას იღებდა როგორც ქალაქის, ისე რაიონის თვითმმართველობების შესარჩევ კონკურსებში. მან თავისი მოსაზრება გაგვიზიარა ამ კონკურსებთან დაკავშირებით. „თავისთავად კონკურსის ჩატარება მისასალმებელი ფაქტია და ფრიად პოზიტიური მოვლენაა, მითუმეტეს, რომ ასეთი რამ მთელი ქვეყნის მასშტაბით პირველად მოხდა, მაგრამ თუ პოზიტიური მოვლენა ხელოვნურად დაამახინჯე, მაშინ გარდაუვალია ამ დადებითი მოვლენის დისკრედიტაცია. არის თუ არა ესა თუ ის მოვლენა ხელოვნურად დისკრედიტებული, ამის დასადგენად მრავალ მეთოდთაგან, ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი შედარებითი ანალიზია. თუ ერთმანეთს შევადარებთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის (რაიონის) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ჩატარებული კონკურსის მესამე, ანუ გასაუბრების ეტაპს და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ანალოგიური კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების ეტაპს, თქვენს წინაშე წარმოჩნდება შემდეგი სურათი: პირველ შემთხვევაში კომისიის წევრთა მოუმზადებლობასთან გვქონდა საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში გასაუბრების პროცესი მაღალ პროფესიულ დონეზე იყო ორგანიზებული. მე ორივეგან მივიღე მონაწილეობა და თამამად შემიძლია, განვაცხადო, რომ გამგეობის მიერ ჩატარებული გასაუბრება იყო ფარსი, ხოლო მერიისა – კარგად მომზადებული და ობიექტური“, – განაცხადა ბადრი დარასელიამ.

ბადრი დარასელიას განმარტებით, გამგეობის მიერ ჩატარებული გასაუბრების ეტაპი სრულ უნდობლობას იმსახურებს. – „დაბეჯითებით შემიძლია, განვაცხადო, რომ გასაუბრებაზე შერჩევა მიმდინარეობდა მინდა-არმინდას პრინციპით და არა საუკეთესოთა შერჩევის პრინციპით, რაც გავასაჩივრე კანონმდებლობის შესაბამისად – საპრეტენზიო კომისიაში“, აღნიშნა ბადრი დარასელიამ. მისი თქმით, შეიძლება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შესარჩევი კონკურსის დარღვევებით ჩატარების გამო სასამართლოში უჩივლოს.

ლადო ძირია

◎ დახმარება სოციალურად დაუცველებს

100 წელს მიღწეულ და გადაცილებულ ხანდაზმულებს, მერია ერთჯერადად 1000 ლარით დაეხმარება

100 წელს მიღწეულ და გადაცილებულ ხანდაზმულებს, თბილისის მერია ერთჯერადად, 1000 ლარით დაეხმარება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა პრიორიტეტული პროგრამები განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტი 35 000 ლარით განისაზღვრა.

მათივე ინფორმაციით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პროგრამის ფარგლებში, **სოციალურად დაუცველი ოჯახები ყველა ახალშობილზე ერთჯერად 500-ლარიან დახმარებას მიიღებენ,** რაც 2015 წლის ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარით დაფინანსდა. პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული ოჯახების მატერიალური დახმარება.

ამასთან, განისაზღვრა **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის წლიური ბიუჯეტი 400 000 ლარია.**

პროგრამის ფარგლებში, მოხდება სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლოთა მატერიალური დახმარება, რისი ბიუჯეტიც წლეულს 1 000 000 ლარით განისაზღვრა. **პროგრამის თანახმად, სოციალურად დაუცველი 150 000 და დაბალი ქულის მქონე მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები 900 ლარით დაფინანსდებიან.**

ამასთან, განისაზღვრა სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მატერიალური დახმარების პროგრამა, რომლიც 2015 წლის ბიუჯეტიდან 800 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

პროგრამის მიხედვით, სოციალურად დაუცველი 0-150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 800 ლარით განისაზღვრა.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურმა განსაზღვრა, სოციალური დაცვის პროგრამების შეფასება, რომლის მიზანია, თბილისის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამების ბენეფიციართა კმაყოფილების დონის განსაზღვრა; მოქალაქეთა განცხადებებში მოცემული პრობლემებისა და საჭიროებების გაანალიზება; თბილისის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამების მიმართ მოსახლეობის ზოგადი განწყობის იდენტიფიცირება; 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

მათივე ინფორმაციით, უმეტეს შემთხვევაში გაორმაგდა, რიგ შემთხვევაში კი გაიზარდა სოციალური დახმარების პროგრამები.

ასევე განისაზღვრა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეტი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 400 000 ლარია. პროგრამის მიხედვით, **სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარება დაერიცხება მე-3 ახალშობილზე – 800 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე – 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარის ოდენობით.**

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარებისთვის ბიუჯეტი 7 000 000 ლარია. პროგრამის მიხედვით, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს (3 და მეტი ბავშვით), საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად მატერიალური დახმარების სახით 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარი დაერიცხება.

ამასთან, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების პროგრამაც განისაზღვრა, რომლის ბიუჯეტი 472

500 ლარია. **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და ამ ომში მარჩენალდაკარგულები 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერად ფინანსურ დახმარებას – 700 ლარს მიიღებენ.**

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2015 წლის ბიუჯეტი 76.5 მილიონი ლარია. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2015 წელს 29 პროგრამას განახორციელებს. მათ შორის, როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალური მომსახურების მიმართულებით არაერთი ახალი და მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება იწყება.

ლუბა ნათლიაშვილი, ლერი სარაიდაროვი უდიდესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი, თვალსაჩინო, დიდებული პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბავშვთა ექიმი-კარდიოლოგი

მაყვალა ანტონის ასული ილურიძე-სტურუა

და ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ SIC!

უცხოტომელები ხშირად პირობას არღვევენ

შეეზღუდავს თუ არა შრომითი მიგრაციის ახალი კანონი საქართველოში ინვესტიციების შემოსვლას?

შრომით მიგრაციას და მასთან დაკავშირებულ პროცესებს სპეციალური კანონი დაარეგულირებს. საამისოდ, მთავრობის ინიციატივით, პარლამენტში უკვე შესულია კანონპროექტი, სახელწოდებით – „შრომითი მიგრაციის შესახებ“.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, უნდა არსებობდეს შრომითი მიგრაციის იმგვარი მექანიზმი, რომელიც ინვესტორს, ან დამსაქმებელს მხოლოდ იმ შემთხვევებში მისცემს უცხოელი სამუშაო ძალის ქვეყანაში შემოყვანის უფლებას, როცა დამსაქმებელი შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალს ადგილობრივ ბაზარზე ვერ მოიძიებს.

კანონპროექტის მიზანია, საქართველოში შეიქმნას შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ეფექტური საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ლეგალური შრომითი მიგრაციის განვითარებასა და გამორიცხავენ არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევებს.

„საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში“ მიიჩნევენ, რომ ეს ნორმა ძირითადად მხოლოდ ფორმალურად შესრულდება დამსაქმებლების მიერ და რეალურად არ უზრუნველყოფს ადგილობრივი კადრებისთვის უპირატესობის მინიჭებას. დამსაქმებლები, ყველა შემთხვევაში, ეცდებიან, დაიწუნონ ადგილობრივი კადრები იმ ვაკანსიებზე, რომლებზეც უცხოელის დასაქმებას გეგმავენ.

„კანონის მსგავსი ნორმები ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და ის მხოლოდ ფორმალურად სრულდება დამსაქმებლების მიერ. შესაბამისად, ამ ნორმის ამოქმედება ხელოვნურად გაართულებს დამსაქმებლების საქმიანობას საქართველოში და უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზე“, – აცხადებს „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“.

აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოში არსებული კომპანიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ დროისთვის უცხოელების დასაქმების საჭიროება არ არსებობს, რადგან ჩვენთან ისეთი გლობალური წარმოება არ ფუნქციონირებს, რომ კადრები ადგილობრივ ბაზარზე ვერ იშოვონ.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქართველოში კონკრეტული დარგის სპეციალისტები არ არიან, შესაძლებელია, ადგილობრივი პერსონალის საზღვარგარეთ გადამზადება. ამით საქართველოში არსებული ტოტალური უმუშევრობის ფაქტები შემცირდება.

დემოგრაფი ანზორ თოთაძე აცხადებს, რომ განსაკუთრებულად პრობლემატურია თურქეთი და ჩინეთი, საიდანაც უცხოელ ინვესტორებს მთლიანად ჩამოჰყავთ თავიანთი მუშახელი. მისი თქმით, საქართველო არ არის გერმანია, საფრანგეთი ან სხვა ქვეყანა, სადაც დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე ადგილობრივი მუშახელი არ თანხმდება და, სადაც ურჩევნიათ, რომ სხვა ქვეყნიდან იაფი მუშახელი მიიზიდონ. ჩვენთან ტოტალური უმუშევრობაა და შავ სამუშაოებზე საკმაოდ განათლებული ხალხიცაა დასაქმებული. ამიტომ ტოტალური უმუშევრობის დროს ინვესტორთან დადებულ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ჩვენი მუშახელით უნდა დაკმაყოფილდეს ყველა ის სამუშაო, რასაც ინვესტორი შეასრულებს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ჩვენ კონკრეტული სამუშაოს სპეციალისტი არ გვყავს, შეიძლება, მოიწვიონ უცხოელი სპეციალისტი.

ამასთან, მიიჩნევს, რომ, წესით და რიგით, შრომითი მიგრაციის ახალმა კანონმა არ უნდა შეზღუდოს საქართველოში ინვესტიციების შემოდინება, რადგან უცხოელი მუშახელის შემოყვანა, ადგილობრივის დასაქმებასთან შედარებით, ძვირად ღირებული სიამოვნებაა. ამიტომ, თუ უცხოელი მარტო თავისი ქვეყნის კეთილდღეობით სულდგმულობს და სურს, თავისი ბარგი-ბარხანით ჩამოიყვანოს თავისიანები, ასეთი ინვესტიცია არ გვჭირდება.

მანანა ნოზაძე

◎ წკეპლიკები

უკრაინის მთავრობას

გილოცავთ თქვენს მთავრობაში სააკაშვილის თანამებრძოლის, უდიდესი რეფორმატორის ვარშალომიძის დანიშვნას. ვაშა!!! მაგრამ, ეს „ვაშა“ „ვაით“ არ შეგეცვალოთ. ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი საკადრო პოლიტიკის: თანდათანობით ვთავისუფლდებით ნაციონალებისგან, ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენი ნაციონალები მალე აღმოჩნდებიან უკრაინის რადაში.

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს

მოგმართავთ პატივისცემით, მაგრამ იმავე დროს გულისტკივილით, იმის გამო, რომ ბატონი ბადრის მიერ დაფუძნებული მეტად საინტერესო ტელეარხი „იმედი“ მართლაც რომ არხი იმედისა, მცირე გამონაკლისის გარდა, გადაიქცა ნაციონალების ჯაჭვური რეაქციის, უაზრო, მდარე შოუების, არატრადიციული სექსუალობის აპოლოგეტად. ნაციონალების მიერ ერთხელ დარბეული „იმედის“ ტელეარხი, ახლა ზნეობრივი დარბევის წინაშეა. ყოველივე ეს შეურაცხყოფს საზოგადოებას და, უპირველესად, ბატონ ბადრის, ამ დიდებული ადამიანის ნათელ ხსოვნას. დაფიქრდით!

თავისუფალ დემოკრატებო!..

ველარ გცნობთ, ნუთუ ეს თქვენა ხართ? სად არის თქვენი უკეთილშობილესი გამოსვლები, ვაჟკაცური შემართება? როგორ მალავდით ამდენ ბოღმას, ღვარძლს, ტყულს. ასე როგორ მოგერიათ ნაცების ვირუსი, ასე სუსტები ხართ? თან ტრაბახობთ, ყელყელაობთ, რისი და ვისი იმედი გაქვთ ვაი დემოკრატებს?

პატივისცემით
ლონდა მდივანი

◎ დღესასწაული

მეფე დავით აღმაშენებელი

წმინდა კეთილმოსურნე და კეთილმსახური დავით მეოთხე

8 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმინდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა, აღმაშენებლად წოდებულისა.

....დავით მეფე — ღვთის მოშიში, განსწავლული, ბრძნადმეტყველი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, სომეხთა...

...წმინდა დავით აღმაშენებელმა მეფობისას თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას, მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

დიდგორთან ომის მოგების, თბილისის აღებისა და დმანისის შემოერთების შემდეგ კეთილმსახურმა მეფემ საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

კეთილმოსურნე მეფეს უფალი მუდამ შეეწეოდა და გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა. წმინდა მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა გელათის მონასტრის მშენებლობით დაასრულა. მან დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი მონასტერს შესწირა. საზღვარგარეთ ბევრ სავანეს თავისი მზრუნველობის ხელი დაატყო. წყალობითა და სიუხვით სავსე მეფე დავითი თავისუფალ დროს საღმრთო წერილისა და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა, ავადმყოფებს ხშირად ნახულობდა.

მწიგნობარი დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, ღმერთს შეწყალება გამოსთხოვა“.

P. S. **დავით მეფის ყველა მოსახელეთ დავითობას ვულოცავთ!**

გიული ლიპარტია

◎ კადრი

სკანვორდი


პოეტ ლერმონტოვის სახელი
იძაა ბატონი ლიბერალი ფეხბურთელი
..., რას ამბობს ხალხი?
გულგარეთის დედაქალაქი
ქალაქი შვეიცარიაში
მეძავი
სოფელი ჭიათურასთან
91 სმ ინგლისში
დიდი ჩაქუჩი
თხელი აბრეშუმის ქსოვილი
დაქირავებული მუშა მემამულესთან
კუთვნილებითი ნაცვალსახელი
სოფელი ოზურგეთის რაიონში
„ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს, დამეს ... ათენებს“
ჰექტარი (შემოკლ.)
წინააღმდეგობას არ ელოდა, უკან ...
გულადი, უშიშარი გუსუსები ქსოვილზე
... ჩაალაა თუ მინა?
... ვაიკულე
მაკარონზე ნარილია
წყვილთა ცეკვა
კომპოზიტორი ... კარგარეთელი
დნეპრის უდიდესი მენაკადი
რამინის მიჯნური
მწვერვალი კავკასიონზე
„... მიუშვი ნებასა“
მსოფლმხედველობის არსებითი კრიტერიუმი
მეცნიერება ალზრდის შესახებ
გრამატიკის ნაწილი
მსახიობი ... ვაჩნაძე
იმდენი ანვალა, ჯვარს ... პირდაპირ!
კანადის დედაქალაქი
ალაზნის მარცხენა მენაკადი
განზრახ არ გაიგონა
გლოკნოტი— ... წიგნაკი
უგად შეკაზმული ნიგვზის წვენი
გალუნული, არასწორი
ნეფედოფლის მხლებელი
ფრთოსანი
ინგლელ ტომთა ჯგუფი
ბოსტნეული
მცირე ოდენობა
ფეხის ზურგი
„..., სოფლორა ვიგანხარ“
მრგვალწერა სატენარი
ნადირობა, მოკოვება
„ენიგმა“ — ქართულად
... კენგერნი საილოს „ატრიბუტი“
სალეგავი
ფილმი ლეილას მონანილეობით
სასიგნალო ტივტივა
მოძრაობა რისამე გარშემო
მშვიდობაში! ... გაგეცვითოს!
ხალასი, შეურეველი
„კლიონკა“ ანუ ...
არსებობს ასეთი ფილებიც
ქარელის რაიონშია
ჩეჩენი, ინგუში — ქართველთა საუბარში
ასურელ მამათაგანი
ეროვნული გმირი ... ჩოლოყაშვილი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

კარგი მამაკაცისგან ქალი მიდის მხოლოდ... დეკრეტში.

* * *

— **ძვირფასო!** რა, ეს შეჭამანდი გუშინდელია? — ეკითხება ქმარი ცოლს.

— მეტსაც გეტყვი, ის ხვალინდელიცაა!

* * *

ბიბლიის შემსწავლელმა მეცნიერებმა გამოგნებელი აღმოჩენა მოახდინეს. თურმე ევას სულაც არ უჭმევია ადამისთვის ვაშლი. თავდაპირველად არავითარი ევა არ ყოფილა. ადამს თვითონ მოუწყვეტია და დაუგემოვნებია ვაშლი. და მხოლოდ ამის შემდეგ დაუსჯია ადამი ღმერთს ევას შექმნით.

* * *

შინ დაბრუნებულმა სარამ დაინახა, რომ აბრამი გულმოდგინედ ახევდა კედლიდან შპალერს.

— აბრამ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე რემონტის გაკეთება?

— არა, სარა, მე აქედან გადავდივარ!

* * *

— **დაშა,** ერთი რამ მინდა გკითხო, — რით შეიძლება მიხვდეს ბიჭი, რომ გოგოს მოეწონა?

— ძალიან მარტივად — პაემანი დაუნიშნოს და თავხედურად აეტორღიალოს.

— ჰო?! მაშინ, დაშა, საღამოსთვის პაემანს გინიშნავ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24